პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 159 (10245) | ხუთშაბათი, 7 ივლისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

სანიმუშოდ მოვაწყოთ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება! — „პრავდის" 6-VII მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების გზები (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის ეროვნული საპარლამენტო ჯგუფის საპარლამენტთაშორისო კავშირში შესვლის გამო (მე-2 გვერდი).
ი. ჭელიძე. — პარტიული პროპაგანდა — ახალი ამოცანების დონეზე (მე-2 გვერდი).
მ. ლვინჯილია. — კომუნისტები — ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის ორგანიზატორები (მე-2 გვერდი).
საქარხნო გაზეთი ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).
გ. შენგელია. — ვაშენოთ სწრაფად და მაღალხარისხოვნად (მე-3 გვერდი).
გ. კოპალეიშვილი. — მანქანები ცდებს, ნათესები დაუმუშავებელია (მე-3 გვერდი).
ყაზბეგელ მეცხოველეთა [illegible] (მე-3 გვერდი).
ჰ. გრინინი. — ამერიკ[illegible]ბის სამხედრო ბაზები სხვების ტერიტორიებზე (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# სანიმუშოდ მოვაწყოთ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება!

ჩვენი ქვეყნის მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დღითიდღე სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა ვადამდე შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დავალებანი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების შესახებ. ახლა დადგა ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი იმისათვის, რომ უსწრაფესად შევასრულოთ ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე რძის, ხორცის, მატყლის, კვერცხის ჩაბარების დარგში.

უკრაინის სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, წარმატებით შეასრულეს რძისა და ხორცის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა 1955 წლის პირველ ნახევარში. მათ 1 ივლისისათვის ჩააბარეს 245 ათასი ტონით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში. რძის, ხორცისა და კვერცხის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა ვადამდე შეასრულეს ჩერნიგოვის, ვინიცის, ოდესისა და უკრაინის სხვა ოლქების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა რძის, ხორცისა და კვერცხის დამზადებაში. რძის დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა მათ შეასრულეს ვადამდე, 10 ივნისს. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მოსკოვის ოლქში დამზადებული და შესყიდულია 19.040 ტონით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში; 1 ივლისისათვის სახელმწიფოს ჩაბარდა 3.200 ტონით მეტი ხორცი და 10.240 ათასი ცალით მეტი კვერცხი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში.

რძის ჩაბარების ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ ციმბირის, ყუბანის, ჩვენი ქვეყნის ცენტრისა და სამხრეთის ბევრი ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. რძის დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს რიაზანის, ვორონეჟის, ლენინგრადის, კალუგის, ნოვოსიბირსკის, ომსკის, ტომსკის, ტიუმენის, სახალინის, სვერდლოვსკის ოლქებმა, კრასნოდარისა და ზღვისპირეთის მხარეებმა, ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკამ, ლატვიის, ესტონეთის, ყირგიზეთის სს რესპუბლიკებმა და სხვა ოლქებმა და რესპუბლიკებმა. მთლიანად ჩვენს ქვეყანაში რძის დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით.

შარშანდელზე უფრო ორგანიზებულად აწარმოებს ხორცის დამზადებასა და შესყიდვას ბევრი ოლქი, მხარე და რესპუბლიკა. ხორცის დამზადების ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, საქართველოს, მოლდავეთის, თურქმენეთის, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა და სხვა რესპუბლიკებმა.

შარშანდელზე უკეთ შესრულდა წლის პირველ ნახევარში მატყლის დამზადება და შესყიდვა. ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით დამზადებული და შესყიდულია 27 პროცენტით მეტი მატყლი.

მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება ცხადყოფს, რომ თუ სწორად მოვაწყობთ საქმეს, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება და შესყიდვა შეიძლება ვაწარმოოთ ჩქარი ტემპით. ბევრი მეურნეობა იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულოს ვალდებულება მეცხოველეობის პროდუქციის ჩაბარების დარგში, აწყობს ძროხების ნაკვეთმორიგეობით და სადღეღამისო ძოვებას, აგრეთვე ახალმოთიბული ბალახით მათ კვებას. მაგალითად, კალუგის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კუდიმოვოში" შემოიღეს მწვანე კონვეიერი და ცხოველების ღამით ძოვება. ამან შესაძლებელი გახადა მკვეთრად გადიდებულიყო პირუტყვის პროდუქტიულობა. საბჭოთა მეურნეობამ ერთნახევარჯერ და მეტი გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის რძისა და ხორცის ჩაბარების ნახევარი წლის დავალება. ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა დიდ ყურადღებას აქცევს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და ფრინველის ზრდის დამთავრებასა და გასუქებას.

ამავე დროს წლის პირველი ნახევრის მონაცემები ცხადყოფენ, რომ ბევრ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება და შესყიდვა აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. რძის დამზადების გეგმა ვერ შეასრულეს ბელორუსიის, ყაზახეთის, უზბეკეთის, კარელია-ფინეთისა და ლიტვის სს რესპუბლიკებმა, აგრეთვე ვოლოგდის, პსკოვის, არზამასის, იაროსლავლის ოლქებმა და რუსეთის სფსრ ზოგიერთმა სხვა ოლქმა. ხორცის დამზადებაში ჩამორჩებიან სომხეთის სს რესპუბლიკის, ლიტვის სს რესპუბლიკის, აგრეთვე ირკუტსკის, კალინინის, ტამბოვისა და ზოგიერთი სხვა ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმის შესრულება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. სსრ კავშირის დამზადებათა, სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროებმა, „ცენტროსოიუზმა", ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის საქმისადმი, უზრუნველყონ სახელმწიფო და დამზადების დისციპლინის განმტკიცება, გააძლიერონ მომთხოვნელობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობისადმი სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულების შესრულებისათვის.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვას. მიუხედავად ამისა, სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო, „ცენტროსოიუზი", დამამზადებელი ორგანიზაციები მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვას დამაკმაყოფილებლად ვერ აწარმოებენ. მაგალითად, ხორცის შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 75,4 პროცენტით. დღემდე ჯერ კიდევ ყველა კოლმეურნეობასთან როდია დადებული ხელშეკრულება სახელმწიფოსათვის რძისა და ხორცის მიყიდვის შესახებ, ხოლო გაყიდული პროდუქტებისათვის ბევრი რაიონის კოლმეურნეობებს შესაძლებლობა არა აქვთ კოოპერაციის მეშვეობით შეიძინონ მათთვის საჭირო სამრეწველო საქონელი იმის გამო, რომ ეს საქონელი დროზე არ შეაქვთ. საბჭოთა, დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკთა ვალია ფართოდ გააჩაღონ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისაგან მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა, ყველგან უზრუნველყონ კოლმეურნეობებისათვის სამრეწველო საქონლის შემხვედრი მიყიდვა.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმის წარმატებით შესრულება ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, ყველა კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

**„პრავდის" 6-VII მოწინავე**

## შესრულებულია ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადებისა და შესყიდვის მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა

1 ივლისისათვის რესპუბლიკაში ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა შესრულებულია: ხორცისა — 104,7 პროცენტით, რძისა — 107,7 პროცენტით, კვერცხისა — 102,9 პროცენტით.

წელს დამზადებულია ხორცი 2.670 ტონით, რძე — 17.395 ტონით, კვერცხი — 11.187 ათასი ცალით მეტი, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ, აჭარის ასს რესპუბლიკამ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა და საქართველოს სსრ რაიონებმა შეასრულეს ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადებისა და შესყიდვის მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი რაიონებისა.

დამზადებისა და შესყიდვის მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა მნიშვნელოვანი დანაკლისით შეასრულეს:

**ხორცისა** — ბოგდანოვკის, თეთრი წყაროს და ყაზბეგის რაიონებმა;

**რძისა** — ადიგენის, დუშეთის, ხაშურის, აბაშის, გეგეჭკორის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თერჯოლის, ჩოხატაურის, ცაგერის, ცხაკაიას და ხობის რაიონებმა;

**კვერცხისა** — ახმეტის, გურჯაანის, თელავის, კასპის, ქარელის, ყვარლის, ხაშურის, გეგეჭკორის, ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ტყიბულის, ჩოხატაურის, ჭიათურისა და ხობის რაიონებმა.

# ჩ ვ ე ნ ს დ ი ა დ ს ა მ შ ო ბ ლ ო შ ი

★

## ნარვის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე

ნარვა, 4 ივლისი. (საქდესი). ნარვის ჰიდროელექტროსადგურის შენობა მარმარილოთი და გრანიტით იმოსება. იგი საფუძვლიდან 10-12 მეტრზე მოპირკეთებული იქნება რუხი გრანიტით, ხოლო მის ზემოთ — მარმარილოს თეთრი ფილებით.

სამი დიდებული თაღი, რომლებიც აგვირგვინებენ ჰიდროელექტროსადგურის შენობას, მოპირკეთებული იქნება მარმარილოთი. ამ სამუშაოს ასრულებენ გამოცდილი მომპირკეთებლის ამხ. ლისოვსკის ხელმძღვანელობით.

შენობის შიგნით დამთავრდა ბეტონის ჩასხმა ტურბინების პულტის გადახურვაში. დამთავრდა ფარის განყოფილების ბლოკის დაბეტონება. მშენებლობაზე იყენებენ ქარხანაში დამზადებულ დიდ დეტალებს.

მემონტაჟეებმა წარმატებით დაამთავრეს სტატორის ოთხივე ნაწილის დადგმა და ამ დღეებში ჰიდროელექტროსადგურის პირველი ტურბინის სამუშაო ბორბალს ადგილზე დაუშვებენ.

## ევროპისა და აზიის ირგვლივ

ვლადივოსტოკი. (საქდესი). გასული წლის მაისში ვლადივოსტოკის სავაჭრო ნავსადგურიდან გავიდა გემი „ვოიკოვი". იგი გაემართა არქტიკის წყლებში, რათა სურსათითა და მოწყობილობით მოემარაგებინა პოლარული სადგურების კოლექტივები. საზაფხულო ნავიგაციის დასასრულს გემი ჩრდილოეთის საზღვაო გზით მივიდა მურმანსკში.

მოიარა რა შემდეგ პოლონეთი, შვეცია, დასავლეთი გერმანია და იტალია, „ვოიკოვი" ოდესაში მივიდა. დიზელ-ელექტრომავალ „ობ"-თან ერთად მან ბუქსირით წაიყვანა დიდი დოკი და სამხრეთის ზღვებით გამოემართა ვლადივოსტოკისაკენ. ცურვას ართულებდა ბუქსირობის განსაკუთრებული პირობები: მაგარი გვარლებით ერთმანეთთან დაკავშირებული გემების ქარავანი თითქმის ორ კილომეტრზე იყო გაჭიმული.

გემმა „ვოიკოვმა" გაიარა ოთხი ოკეანე და ოცზე მეტი ზღვა და თავის ნავსადგურში დაბრუნდა. ოდესა-ვლადივოსტოკის გზა მან გაიარა უფრო ჩქარა, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. მთელი ტვირთი დაუზიანებლად მოიტანა ადგილზე.



შემოდგომის ხორბლის აღება კომბაინით კრასნოდარის მხარის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო ვ. კოკალოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

### სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

## საკვების დასილოსების მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა

სიმინდის ნათესების მკვეთრად გაფართოებასთან დაკავშირებით წელს ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბევრად დიდდება სილოსის დამზადება. ამიტომ მეცხოველეთა ექსკურსიები, რომლებიც გამოფენას ათვალიერებენ, დიდი ყურადღებით სწავლობენ საკვების დასილოსების მოწინავე გამოცდილებას.

ძვირფას ცნობებს იღებენ გამოფენის მნახველნი პავილიონის მეცხოველეობის სიმინდის დარბაზში.

— სიმინდის ტაროს ყოველი ასი კილოგრამი სილოსი, — ამბობენ ექსკურსიამძღოლები, — ღორების გასუქების დროს რვა კილოგრამ ხორცად და ქონად იქცევა. ჰექტარ სიმინდს, თუ 800 ცენტნერი მწვანე მასა და ტარო მოვიდა, შეუძლია წლის განმავლობაში გამოკვებოს ხუთი ძროხა 3.000 კილოგრამი წველადობისა.

მნახველებს აცნობენ საკვების დაკონსერვების ტექნიკას. ექსკურსანტების ყურადღებას აპყრობენ იმას, რომ ტარო რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სტადიაში უნდა ავიღოთ ჭირხლის დაწყებამდე. ტრანშეებში ჩაყრისას მათ აჭყლეტენ, ტკეპნიან, აფარებენ ხის ფარებს ან ტოლს, შემდეგ მიაყრიან თიხის, მერე კი მიწის ფენას, და აფარებენ ჩალოფს.

სტენდებზე წარმოდგენილია სასილოსე ნაგებობათა ნახატები, ნაჩვენებია დასილოსების ცალკეული პროცესები. მეზობელი სტენდები გვიჩვენებენ მოსკოვის, სვერდლოვსკის, მინსკისა და სხვა ოლქების კოლმეურნეობათა გამოცდილებას, სადაც სილოსის უნარიანი გამოყენებით გაადიდეს მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

სასილოსე ნაგებობათა მშენებლობას ექსკურსანტებს აცნობენ საშენი მასალების პავილიონში. აქ მაკეტებისა და პლაკატების სახით წარმოდგენილია რამდენიმე ტიპის სასილოსე ტრანშეები და კოშკები. ექსკურსანტებთან საუბარში პავილიონის სპეციალისტები არკვევენ, თუ რა საშენი მასალები აქვთ მეურნეობებს, როგორი გრუნტია ნაკვეთებზე, სადაც აპირებენ სასილოსე ნაგებობათა აშენებას. მეურნეობის თავისებურებათა მიხედვით კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მშენებლებს ურჩევენ, როგორი ტიპის ნაგებობა აირჩიონ და უკეთ როგორ ააშენონ იგი.

უმარტივესი საცავია ორმო, თიხა-ფიჩხის ღობით მოპირკეთებული. მის ზედაპირს აფარებენ საგანგებოდ მომზადებულ თიხის ხსნარის თხელ ფენას. ასეთ ტრანშეებში შეიძლება დავასილოსოთ არა მარტო მწვანე მასა, არამედ სიმინდის ტაროც. იმ რაიონებში, რომლებიც მდიდარია ტყეებით, ტრანშეები და ორმოები შეიძლება მოაპირკეთონ სქელი ფიცრებით, ამასთან სივრცე ფიცრებსა და გრუნტს შუა უნდა ამოავსონ აზელილი თიხით.

მაკეტები წარმოდგენას იძლევა აგრეთვე ყორექვით, აგურით, რკინა-ბეტონის ფილებით მოპირკეთებულ სასილოსე ტრანშეებსა და ორმოებზე. მშენებლებს ურჩევენ გაითვალისწინონ გრუნტის წყლის დონე: იგი ყოველთვის ნაგებობის ძირზე დაბლა უნდა იყოს სულ ცოტა ნახევარი მეტრით.

კრასნოიარსკის მხარის მინუსინსკის რაიონის კოლმეურნეობებში გავრცელდა ეგრეთწოდებული „სასილოსე ბლოკები", რომლებიც შედგება 6-8 ნახევარკოშკისაგან საერთო სახურავქვეშ. ნახევარკოშკები განლაგდება ორ წყებად და ბოსელს უერთდება დახურული თბილი კორიდორით. ამ კორიდორით საკვებს ცხოველს აწვდიან კიდული გზით. საკვებბლოკის მშენებლობა დაახლოებით ერთი მესამედით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ცალკე განლაგებული ნახევარკოშკები, და მეტად მოხერხებულია საკვების მისატანად ავდარში. მინუსინსკის ტიპის საცავები დიდ ინტერესს იწვევს ციმბირის, ურალისა და ჩრდილოეთ ოლქების კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებში, პავილიონში იძლევიან ასეთი საკვებბლოკის ტექნიკურ პროექტს.

პავილიონში იყიდება სხვა ტიპების სასილოსე ტრანშეებისა და ორმოების პროექტების ალბომი. დასახულია უახლოეს ხანში გამოფენის ტერიტორიაზე აშენდეს ნატურალური სიდიდის ტიპური სასილოსე ნაგებობანი. (საქდესი).

★

## ახალი მასალები 1905-1907 წლების ამბების შესახებ

კიევი, 5 ივლისი. (საქდესი). კიევის სახელმწიფო საისტორიო მუზეუმის მეცნიერმა თანამშრომლებმა რამდენიმე ექსპედიცია მოაწყეს, რათა გამოევლინებინათ ახალი მასალები რუსეთის 1905-1907 წლების პირველი რევოლუციის ამბების შესახებ. არქივებში და ცალკეულ პირებთან აღმოაჩინეს მთელი რიგი ახალი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც მოგვითხრობენ რევოლუციურ ბრძოლაზე უკრაინაში.

დიდ ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს ხარკოვის ორთქლმავალსამშენებლო ქარხნის მუშათა დროშა, რომლითაც ისინი გამოვიდნენ 1905 წლის 2 მაისის დემონსტრაციაში. დროშა, რომელიც ხელთ იგდეს ჟანდარმებმა, „ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი" იყო მეფის საიდუმლო პოლიციის მიერ დემონსტრაციის მონაწილეთა წინააღმდეგ შექმნილ საქმეში.

აღმოჩენილ მასალებს შორის არის კიევში მესანგრეთა აჯანყების ხელმძღვანელის ბ. პ. ჟადანოვსკის ფოტოსურათი და წერილები, რომლებსაც იგი მშობლებს უგზავნიდა კიევის პოლიტიკური საპატიმროდან, აგრეთვე შლისელბურგის ციხიდან, ფოტოსურათი კიევის მშრომელთა 10-ათასიანი მიტინგისა, რომელიც მოეწყო მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

დონბასიდან და ხარკოვიდან მუზეუმში ჩამოტანილია დონეცელ და ხარკოველ რაზმელთა თვითნაკეთები იარაღი, რომლითაც ისინი შეიარაღებული იყვნენ დეკემბრის აჯანყების დროს.

მუზეუმში მიღებულია აგრეთვე ფოტოპირი საგუბერნიო კომიტეტის ბიულეტენისა 1905 წლის დეკემბერში შეიარაღებული აჯანყების მსვლელობის შესახებ ხარკოვში, ლოზოვაიაში, ლიუბოტინში, იუზოვკაში, ფოტოპირი კიევში გავრცელებული ფურცლისა, რომელიც შეიცავდა მოწოდებას „თავისუფლება გორკის, თავისუფლებისათვის მებრძოლს, თავისუფალი სიტყვის მომღერალს!"

## სიმინდის ნათესები ახალ მიწებზე

ნამანგანი, 5 ივლისი. (საქდესი). უიჩის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელებმა ყზილ-იარის ტრამალში ათვისებულ ყამირ მიწებზე დათესეს პირველი ათობით ჰექტარი სიმინდი. სარწყავ წყალს აწვდის ახალი მძლავრი სატუმბავი სადგური. სიმინდის დამატებითი ნათესებისათვის ოლქში გამოყოფილია ექვსი ათასამდე ჰექტარი.

# ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების გზები

## დამთავრდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სესია

5 ივლისს დამთავრდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სესია, რომელიც მიეძღვნა ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების მეცნიერულ და ტექნიკურ პრობლემებს. სესია დიდი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან ცხადყო ფართო გაქანება სსრ კავშირში წარმოებული კვლევითი სამუშაოებისა, რომელთა მიზანია ატომის განთავისუფლებული ენერგიის ყოველი ღონისძიებით გამოყენება ადამიანის კეთილდღეობისათვის, ბუნების საიდუმლოებათა გამოცნობისა და მიწის წიაღის სიმდიდრეთა გამოვლინებისათვის, ენერგეტიკის განვითარებისათვის, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის.

სესიაზე მოსმენილ იქნა მეცნიერთა—ცოდნის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა — ფიზიკოსთა, ქიმიკოსთა, ტექნიკოსთა, ბიოლოგთა 70-ზე მეტი მოხსენება. მოხსენებანი ნათელ წარმოდგენას იძლევიან საბჭოთა კავშირის მეცნიერთა ნაყოფიერ მუშაობაზე.

დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა განყოფილების სესიამ, რომელზეც საბჭოთა მეცნიერებმა გააკეთეს მოხსენებანი ახალი გამოკვლევების შესახებ ატომგულის ფიზიკის დარგში, დაწვრილებით ილაპარაკეს ენერგეტიკის მიზნებისათვის ატომის ქვაბების შექმნის ხერხებზე და მათ შემდგომ გაუმჯობესებაზე.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა განყოფილების სესია დახურა აკადემიკოსმა ა. ი. ალიხანოვმა, რომელმაც თქვა, რომ სესიას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მის შემდეგ, ეჭვი არ არის, მნიშვნელოვნად გაფართოვდება იმ მეცნიერ მუშაკთა და ინჟინერთა წრე, რომლებიც ფიზიკისა და ტექნიკის ამ ახალი დარგით გატაცებულნი, რომელიც სწრაფად ვითარდება, აქტიურად ჩაებმებიან მასში. აკადემიკოსმა ალიხანოვმა კმაყოფილებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს უცხო ქვეყნების მეცნიერებმაც.

ტექნიკური პროგრესის საქმეში ატომის ენერგიის უდიდეს შესაძლებლობათა გამოყენების შესახებ ილაპარაკეს ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების სხდომებზე. როგორც განყოფილების სესიის დამთავრებისას ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა ლ. ფ. ვერეშჩაგინმა აღნიშნა საბოლოო სიტყვაში, მოხსენებებმა მეტალურგიული პროცესების გამოკვლევის, ლითონმცოდნეობისა და ლითონთა ფიზიკის დარგში ცხადყო რადიაქტიური იზოტოპების მეთოდის ფართო შესაძლებლობანი იმის გამოვლინებაში, თუ რა გავლენას ახდენენ ფოლადჩასასხმელი მოწყობილობის ცეცხლგამძლე მასალები ფოლადის ხარისხზე. სესიამ გააშუქა აგრეთვე წარმატებითი ცდები — რადიაქტიური იზოტოპების გამოყენება მარტენის ღუმელების აბაზანებში არევის პროცესთა შესწავლისათვის, თუჯიდან წიდაში გოგირდის გადატანის კინეტიკის კვლევისათვის და სხვ. შეაჯამა რა სესიის შედეგები, პროფესორმა ვერეშჩაგინმა აღნიშნა, რომ ლითონების დეფექტოსკოპიაში გამა-გამოსხივების გამოყენების დარგში მუშაობის შემდგომ განვითარებას მოჰყვა იონიზაციური დეფექტოსკოპიის მეთოდის შემუშავება, რომელიც საშუალებას გვაძლევს გაცილებით უფრო სწრაფად და ზუსტად გამოვავლინოთ ლითონის დეფექტები უშუალოდ ქარხნის პირობებში. რადიაქტიური გამოსხივების გამოყენება ხელსაწყოთმშენებლობაში და ახალი ხელსაწყოების დანერგვა ქარხნებში უკვე ახლა, თქვა ორატორმა, ფართო შესაძლებლობებს გვისახავს იმისათვის, რომ ატომის ენერგია გამოვიყენოთ სამრეწველო საწარმოთა ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციაში. ფართოდ ინერგება რადიომეტრიის მეთოდები ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების გამოკვლევის დროს. პროფესორი ვერეშჩაგინი აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ხუთწლედის განმავლობაში ასეთი სამუშაოების მოცულობა 20-ჯერ და მეტად გადიდდა. ჭაბურღილთა 3,5 მილიონი მეტრი პრილი, რაც გამოკვლეულ იქნა შარშან, და 5 მილიონ მეტრზე მეტი პრილი, რაც წელს უნდა იქნას შესწავლილი, თქვა ორატორმა, მკაფიოდ ახასიათებს იმას, თუ რა მოცულობით ინერგება რადიაქტიური მეთოდები ნავთობისა და გაზის საბადოების ძიებისას.

მთელი რიგი მოხსენებანი წაიკითხეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების სესიაზე. ამ მოხსენებებმა გააშუქეს მიღწევები საბჭოთა ბიოლოგიისა, რომლის მიზანია ბუნების სიმდიდრეთა შემდგომი გამოვლინება, მეცნიერული წანამძღვარების შექმნა ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის, მცენარეთა ცხოველუნარიანობისა და მოსავლიანობის და ნიადაგთა ნაყოფიერების გადიდებისათვის. ბიოლოგთა მოხსენებანი შეეხებოდა იმის შესწავლას, თუ როგორ მოქმედებს საიონიზაციო გამოსხივება ცხოველთა ორგანიზმზე, შეეხებოდა იზოტოპების გამოყენებას აგროქიმიასა და მცენარეთა ფიზიოლოგიაში, აგრეთვე ბიოლოგიური მეცნიერებისა და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის მთელი რიგი სხვა საკითხების გადაჭრაში.

ამ განყოფილების საბოლოო სხდომაზე აკადემიკოსმა ვ. ა. ენგელგარდტმა განაცხადა, რომ სესიამ გარკვეული წვლილი შეიტანა ბუნების ახალი ძალების კაცობრიობის საკეთილდღეოდ გამოყენების საქმეში.

ხალხმრავალი აუდიტორია ესწრებოდა ქიმიურ მეცნიერებათა განყოფილების სესიის სხდომებს. მისი მნიშვნელობა რადიოქიმიური გამოკვლევების შემდგომი განვითარების საქმეში დაახასიათა თავის საბოლოო სიტყვაში აკადემიკოსმა მ. მ. დუბინინმა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო უცხოელ მეცნიერთა მნიშვნელოვანმა ჯგუფმა, თქვა მ. მ. დუბინინმა. ჩვენ კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ მათი ყურადღება და ინტერესი განხილული პრობლემებისადმი საბჭოთა მეცნიერები მოხარული არიან გაუზიარონ მათ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში თავიანთი კვლევის შედეგები და აითვისონ სხვა ქვეყნების მეცნიერთა გამოცდილება. ამას შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობას მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის ატომის ენერგიის გამოყენების გზების შემუშავებაში. ჩვენ მივესალმებით საბჭოთა და უცხოელი მეცნიერების სამეცნიერო კონტაქტის შემდგომ განვითარებას. ამ კონტაქტის ყველაზე ეფექტიანი ფორმაა ის, რომ ვეწვიოთ ერთიმეორის სამეცნიერო დაწესებულებებს და მონაწილეობა მივიღოთ გაერთიანებულ სხდომებში.

სესიამ არსებითი ყურადღება მიაქცია საბჭოთა და უცხოელი მკვლევარების შრომებს რადიაქტიური იზოტოპების გამოყენებით კომპლექსური შენაერთების გარდაქმნათა აგებულების შესწავლაში. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა უფრო დეტალურად გამოერკვიათ მექანიზმი ცვლისა და შენაცვლების რეაქციებისა კომპლექსური იონების შემადგენლობაში. ასეთი მონაცემების მიღება დიდმნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, რადგან განუწყვეტლივ იზრდება კომპლექსურ შენაერთთა როლი ქიმიისა და ბიოქიმიის სხვადასხვა დარგში. რადიაქტიური გოგირდის დახმარებით შესწავლილია გოგირდის გადანაცვლება ნივთიერებებში, რომლებითაც წარმოებს კაუჩუკის ვულკანიზაცია, და ვულკანიზაციის ტექნიკურ დამჩქარებლებში. ამ მუშაობამ ერთგვარი გარკვეულობა შეიტანა ვულკანიზაციის ტექნოლოგიურ პროცესში და ხელს შეუწყობს მის გაუმჯობესებას.

სესიაზე პირველად აღინიშნა აგრეთვე პლუტონიუმისა და ბევრი ქიმიური ელემენტის შენაერთთა კვლევის შედეგები. ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის მეთოდებით აღმოჩენილ იქნა პლუტონიუმისა და ლითონის მრავალი ქიმიური შენაერთი, რაც დიდ პრინციპულ ინტერესს იწვევს.

ამით დამთავრა თავისი მუშაობა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სესიამ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ.

უახლოეს დღეებში სესიის მონაწილენი გაეცნობიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცალკეული ინსტიტუტების მუშაობას და მათს ტექნიკურ მოწყობილობას. (საქდესი).

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

# პარტიული პროპაგანდა — ახალი ამოცანების დონეზე

პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების პოლიტიკური ცოდნის ამაღლება წარმოადგენს ცხოვრების ყველა დარგში მათი მოწინავე როლის გაძლიერების, პარტიული მასების შემდგომი აქტივიზაციისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების აუცილებელ პირობას.

თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ 1954-55 სასწავლო წელს მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა პარტიული განათლების მოწყობაში მანამდე არსებული ბიუროკრატიული მიდგომის აღმოფხვრისა და ნებაყოფლობის პრინციპის სრული გატარებისათვის. ამ პრინციპის განხორციელების საფუძველზე სამჯერ შემცირდა პოლიტსკოლებისა და წრეების რაოდენობა და საგრძნობლად გაიზარდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა რიცხვი. პოლიტსკოლებისა და წრეების რაოდენობის შემცირებამ პარტიულ ორგანიზაციებს საშუალება მისცა გაეუმჯობესებინათ პროპაგანდისტთა შემადგენლობა. პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად მუშაობდნენ პროპაგანდისტთა თეორიულ-პოლიტიკური დონისა და მეთოდური დახელოვნების შემდგომი ამაღლებისათვის. ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს პროპაგანდისტთა დასახმარებლად პარტიის ლენინის, სტალინის, კალინინის, მოლოტოვის და 26 კომისრის რაიკომებთან შექმნილმა სემინარებმა. ამას გარდა ქალაქის ყველა რაიონის პარტიულ ბიბლიოთეკებთან სისტემატურად ეწყობოდა პროპაგანდისტთა თათბირები გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით.

დედაქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული ზომები განახორციელეს პროპაგანდისტული მუშაობის გასაუმჯობესებლად, რაც ნათლად გამოვლინდა შემაჯამებელ მეცადინეობებზე. მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მოეწყო შემაჯამებელი მეცადინეობა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი და ავტოსარემონტო ქარხნების, საორთქლმავლო დეპოს, მეექვსე სამკერვალო, თამბაქოს № 1 და № 2 ფაბრიკების, ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველოს, საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს, სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკური კანტორის პარტიულ ორგანიზაციებში.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტსკოლებისა და წრეების დიდმა უმეტესობამ წარმატებით დაამთავრა სასწავლო წელი, პარტიული განათლების სისტემაში ჯერ კიდევ მთელი რიგი ნაკლოვანებები გვაქვს. ზოგიერთ წრესა და პოლიტსკოლაში მეცადინეობა დაბალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე იმართებოდა, ხშირი იყო მსმენელთა მიერ მეცადინეობის გაცდენა. ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის მშენებლობაზე, საელმავლო დეპოში და მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკაში პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეების მსმენელებმა განვლილი მასალის არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს.

აღნიშნული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ საჭირო დახმარება არ გაუწია წრეებისა და პოლიტსკოლების მუშაობას, დაუშვა შეცდომები პროპაგანდისტთა შერჩევის საქმეში. პროპაგანდისტთა მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევის დიდი შესაძლებლობის მიუხედავად, პოლიტსკოლებისა და წრეების 453 პროპაგანდისტიდან 101-ს საშუალო განათლება აქვს.

დედაქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტთა დიდი უმეტესობა იდეურ-პოლიტიკურ დონეს იმაღლებს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის გზით. მათ დასახმარებლად გამოყოფილი იყო 1.042 კონსულტანტი. რაიკომებისა და მსხვილ საწარმოთა პარტიულ ბიბლიოთეკებში სისტემატურად მორიგეობდნენ კონსულტანტები. მსხვილ საწარმოთა და დაწესებულებათა პარტიულ ორგანიზაციებში წაკითხულ იქნა ლექციების ციკლი პარტიის ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და სხვა საკითხებზე.

ლექციური პროპაგანდის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო წლის დაწყების წინ, პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა გადასინჯეს შტატგარეშე ლექტორთა შემადგენლობა და ლექციების კითხვა დაავალეს კვალიფიციურ ლექტორებს. პარტიულ სწავლებაში ჩაბმულ კომუნისტთა დასახმარებლად ლექციები ეწყობოდა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე. გაუმჯობესდა ლექციების ორგანიზაციის საქმე.

პარტიის რაიკომებთან და ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად შექმნილი იყო პარტიის ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკის, საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკისა და სხვა საკითხების შემსწავლელი თეორიული სემინარები, სადაც იმართებოდა ლექციები, კომუნისტებს ეძლეოდათ თეორიული და მეთოდური ხასიათის რჩევა-დარიგება. სემინარის მონაწილენი გამოდიოდნენ მოხსენებებით, რეფერატებით, ხდებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. თეორიული სემინარების მუშაობის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ პარტიული სწავლების ეს ფორმა კარგ შედეგს იძლევა და საჭიროა მომავალში მისი უფრო ფართოდ გამოყენება.

მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა შემაჯამებელი თეორიული გასაუბრებები ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში, ფიზკულტურის ინსტიტუტში, ფაბრიკა „საქტრიკოტაჟში", 67-ე საშუალო სკოლაში, ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში და სხვ.

ზოგიერთმა პარტბიურომ და პარტიული ორგანიზაციის მდივანმა, არასწორად გაიგო პარტიული სწავლების ნებაყოფლობის პრინციპი და საქმე თვითდინებას მიანდო. ხშირი იყო შემთხვევები, როცა დამოუკიდებლად მომუშავეთა სიაში ირიცხებოდა კომუნისტი, რომელსაც არა ჰქონდა სათანადო მომზადება, წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის გამოცდილება და არ შეეძლო ინდივიდუალურად აემაღლებინა იდეურ-პოლიტიკური დონე.

არადამაკმაყოფილებლად იყო ორგანიზებული პოლიტიკური სწავლება საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს პარტიულ ორგანიზაციაში (მდივანი ვ. შენგელია). აქ ყველა კომუნისტი ჩაწერეს დამოუკიდებლად მომუშავეთა რიცხვში, საკითხი პარტიული სწავლების შესახებ განიხილეს ფორმალურად და არ შეუქმნიათ საზოგადოებრივი აზრი იმ კომუნისტების მიმართ, რომლებიც თავის თავზე არ მუშაობენ.

ცუდად მიმდინარეობდა პარტიული სწავლება მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციაში (მდივანი კ. კალაძე). საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მიერ აქ მოეწყო ლექციების ციკლი დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საკითხებზე. პარტბიუროს მიზეზით ამ ციკლიდან წაკითხულ იქნა მხოლოდ ორი ლექცია, ამას გარდა ჩაიშალა სხვა ლექციებიც. კომუნისტთა ნაწილი არ მუშაობდა თავის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, პარტბიურო კი არავითარ ზომებს არ მიმართავდა.

კომუნისტთა დამოუკიდებლად სწავლების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი გამოწვეული იყო იმით, რომ როგორც პარტიის საქალაქო კომიტეტის, ისე რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები, აგრეთვე ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი სათანადოდ არ ეხმარებოდნენ კომუნისტებს დამოუკიდებლად სწავლების საქმეში, კონტროლს არ უწევდნენ მათს მუშაობას და არ იღებდნენ საჭირო ზომებს პოლიტიკური სწავლებისადმი ფორმალური დამოკიდებულების წინააღმდეგ.

პარტიული განათლების სისტემაში შემაჯამებელი მეცადინეობების მოწყობის შემდეგ გაიმართა პოლიტსკოლებისა და წრეების მსმენელთა კრებები, სადაც განხილულ იქნა შემდგომი მუშაობის საკითხები. პირველადი პარტორგანიზაციები ამზადებენ კრებებს, რომლებზეც განხილულ იქნება პარტიული განათლების სისტემაში გასული სასწავლო წლის შედეგები და მომავალი სასწავლო წლისათვის მზადების ამოცანები.

თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ პარტიული განათლების სისტემაში 1955-1956 სასწავლო წლისათვის მოსამზადებელი პერიოდი, გაითვალისწინონ პოლიტიკურ სწავლებაში არსებული ნაკლოვანებანი და მთელი მუშაობა წარმართონ მათ გამოსასწორებლად.

**ი. ჭელიძე,**
საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე.



თბილისი. საორთქლმავლო დეპოს მოწინავე მემანქანეები შ. კორკოტაძე (მარცხნივ) და ე. მანთაშევი, რომლებმაც უკვე გაანაღდეს რკინიგზელის საკავშირო დღისათვის ნაკისრი ვალდებულებები — გადაიყვანეს 30 მძიმე წონის მატარებელი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

## რკინიგზელის დღის აღსანიშნავად

### წლიური გეგმა — 8 თვეში

რკინიგზის გურჯაანის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა მაისში ორთქლმავლების გარბენის დავალება 141,7 პროცენტით შეასრულა და გარეცხვით შეკეთებაში ლოკომოტივების დგომის დრო 4 საათით შეამცირა.

ივნისში გურჯაანელმა დეპოელებმა კიდევ უფრო გააუმჯობესეს ეს მაჩვენებლები. მათ ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და გააჩაღეს ბრძოლა წლიური გეგმის 8 თვეში შესრულებისათვის.

**თ. გოგიაშვილი.**

### შრომითი აღმავლობით

ხაშურის საელმავლო დეპოს ოთხასამდე წამყვანი სპეციალობის მუშა გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებას. მემანქანეებმა უკვე გადაიყვანეს 250 მძიმე წონის მატარებელი. დაწინაურდნენ მძიმეწონოსანი მეელმავლეები — მ. ტყეშელაშვილი, ვ. დერევიანჩენკო, ი. ვეფხვაძე, დ. გასიშვილი, თ. გოსტიევი, ვ. ზუმბაძე, კ. ლურსმანაშვილი, ი. ნემსაძე, თ. რიჟამაძე და სხვ. უფროსმა მემანქანემ ი. ლაბაძემ 2.000-მდე ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაზიდა.

ვადამდე და გადაჭარბებით არის შესრულებული ივნისის გეგმა; ზეგეგმითი დაგროვება უკვე 130.000 მანეთს აღემატება.

**ზ. ნოზაძე,**
ხაშურის საელმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი.

## სსრ კავშირის ეროვნული საპარლამენტო ჯგუფის საპარლამენტთაშორისო კავშირში შესვლის გამო

როგორც პრესა იუწყებოდა, ა. წ. 29 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა შექმნეს სსრ კავშირის ეროვნული საპარლამენტო ჯგუფი, რომელმაც განაცხადა, რომ შედის საპარლამენტთაშორისო კავშირში.

სსრ კავშირის ეროვნული საპარლამენტო ჯგუფის დავალების შესაბამისად ჯგუფის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. ტ. შეპილოვმა საპარლამენტთაშორისო კავშირს აცნობა, რომ შეიქმნა სსრ კავშირის ეროვნული საპარლამენტო ჯგუფი და რომ ამ ჯგუფმა გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს საპარლამენტთაშორისო კავშირის მორიგ 44-ე კონფერენციაში.

ამჟამად საპარლამენტთაშორისო კავშირის გენერალური მდივნის ბ-ნ ა. დე ბლონესაგან მიღებულია დეპეშა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ცნობას სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის შექმნის შესახებ იგი დაუყოვნებლივ გადასცემს საპარლამენტთაშორისო კავშირის თავმჯდომარეს და საპარლამენტთაშორისო კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს.

მიღებულია აგრეთვე საპარლამენტთაშორისო კავშირის 44-ე კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნ კ. ა. ფაგერჰოლმის დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა კმაყოფილებით მიიღო ცნობა სსრ კავშირის ეროვნული საპარლამენტო ჯგუფის შექმნის და საპარლამენტთაშორისო კავშირში მისი შესვლის შესახებ და ელის მის წარმომადგენელთა ჩასვლას კონფერენციაზე.

პ რ ე ს ი ს მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

## საქარხნო გაზეთი ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში

ჩვენი სამშობლოს რომელ კუთხეში არ ნახავთ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პროდუქციას. მოწინავე ავტომობილმშენებელი მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები გაბედულად ნერგავენ ახალ ტექნიკას, მოქმედებაში მოჰყავთ გამოუყენებელი რეზერვები, ღირსეულად სრულყოფენ ტექნოლოგიურ პროცესებს.

ავტომობილმშენებლებმა იკისრეს ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულონ 1955 წლის გეგმა. ამ მნიშვნელოვანი ვალდებულების განხორციელებისათვის ბრძოლაში ქარხნის კოლექტივს მხარში უდგას მრავალტირაჟიანი საქარხნო გაზეთი „ლენინელი".

სულ ხუთიოდე თვეა, რაც ავტომობილმშენებელთა გაზეთი გამოდის. იგი მრავალფეროვან საჭირო მასალებს აწვდის თავის მკითხველს. გაზეთის ფურცლებზე ხშირად ნახავთ წერილებს წარმოების მეტად აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც იბეჭდება რუბრიკებით: „ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის", „ზუსტად და დროულად შევასრულოთ გეგმა ნომენკლატურის მიხედვით", „გავაძლიეროთ ბრძოლა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის", „ღრმად შევისწავლოთ და გავავრცელოთ წარმოების ნოვატორთა გამოცდილება" და სხვ.

„ლენინელი" სისტემატურად აშუქებს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, რაზმავს მუშებს აღებულ ვალდებულებათა განაღდებისათვის. 10 ივნისის ნომერში გაზეთმა გამოაქვეყნა ავტომატების საამქროს კოლექტივის მოწოდება ნახევარი წლის გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ. მას რედაქციამ მიუძღვნა მოწინავე წერილი „ამხანაგებო, მხარი დავუჭიროთ მეავტომატეთა თაოსნობას!"

„მთავარია, — ნათქვამია ამ წერილში, — გეგმა სრულდებოდეს არა მარტო სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ხაზით, არამედ ყველა ნომენკლატურის მიხედვითაც".

გაზეთი გულისყურით ეკიდება საამქროთა მუშაობას, ანალიზს უკეთებს მათს ეკონომიურ მაჩვენებლებს და რაზმავს ავტომობილმშენებლებს ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, რიტმული მუშაობისა და წარმოების ტექნიკური პროგრესისათვის. ამავე მოწინავე წერილში გაზეთი წერდა, რომ უკვე დაწინაურდნენ რუხი თუჯის სამსხმელო და სამჭედლო საამქროები, რომლებიც წინა თვეებში ჩამორჩებოდნენ. ამ ჩამორჩენის შესახებ ადრევე აღნიშნავდა „ლენინელი" მოწინავე წერილში „ავტომობილმშენებელთა ღირსების საქმე":

„რა არის მიზეზი, რომ ავტოქარხნის მუშაობაში ჩამორჩენა გრძელდება, განსაკუთრებით სათადარიგო ნაწილების გამოშვებაში?

...ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი შეწყობილი, რიტმული მუშაობა ქარხნის სხვადასხვა უბნებს შორის... რუხი თუჯის სამსხმელო საამქრო საფრთხეში აყენებს სიჩქარეთა კოლოფის საამქროს გეგმის შესრულებას. ეს თავის დროზე დეზორგანიზაციას შეიტანს მთავარი კონვეიერის მუშაობაში.

...რუხი თუჯის საამქროს სერიოზული ნაკლოვანებანი გავლენას ახდენს მოტორების საამქროზეც, რომელიც ჯერაც არ არის უზრუნველყოფილი მაღალხარისხოვანი სხმულით".

მარტო ამ ფაქტების. რეგისტრაციით როდი დაკმაყოფილდა გაზეთი. მან ქარხნის პარტიულ ორგანიზაციასა და დირექციასთან ერთად მოაწყო რუხი თუჯის საამქროს მსხმელების თათბირი. თათბირს სხვა საამქროების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ მოსკოვისა და ურალის საავტომობილო ქარხნების წარმომადგენლები, რომლებიც მაშინ ქუთაისში იყვნენ ჩამოსულნი. თათბირის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვაზე და ქმედითი ღონისძიება დასახეს. ამ თათბირს გაზეთმა მთელი გვერდი დაუთმო საერთო სათაურით „ასი ნამზადიდან — ასი ვარგისი დეტალი".

გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს წარმოებაში პროგრესული ტექნოლოგიისა და მოწინავე გამოცდილების დასანერგავად პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელებას. წერილში „მხარი დავუჭიროთ გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს" მოცემულია იმის ანალიზი, რაც კეთდება ამ მხრივ ქარხანაში, და გამახვილებულია ყურადღება იმაზე, რომ ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულება, ზოგიერთი საყურადღებო გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების დანერგვის გაჭიანურება.

„ლენინელი" ბეჭდავს აგრეთვე მასალებს ნოვატორებზე, მათ მუშაობაზე რუბრიკით „ქარხნის წარჩინებული ადამიანები", მაგრამ ამ მასალებს ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი. მაგალითად, წერილებში „მოწინავე ზეინკალი" და „მეავტომობილე გოგონა" გადმოცემულია, თუ როგორ მოვიდნენ ახალგაზრდები ქარხანაში, ხოლო რას და როგორ აკეთებენ, რა გზით აღწევენ წარმატებებს, ამაზე ან სრულებით არ არის ლაპარაკი, ან ძალიან ზოგადად და ბუნდოვნად. გაზეთში ნაკლებად ჩანს რიგითი მოწინავე მუშების წერილები, ხოლო რაც იბეჭდება, ისიც მეტწილად ინფორმაციული ხასიათისაა; ქარხანაში კი მრავალი ნოვატორი ჰყავთ. მათ შეუძლიათ მუშაობის საკუთარ მეთოდებზე, გამოგონებებზე, რაციონალიზატორულ გაუმჯობესებებზე გაზეთის ფურცლებზე საქმიანად გამოსვლა, რაც მეტად სასარგებლო და საჭირო საქმეა.

დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოში წუნის გამოშვების აღკვეთისათვის ბრძოლას. მაგალითად, რუხი თუჯის საამქრო წინათ ზღვა წუნს იძლეოდა. ამასთან დაკავშირებით მოტორის საამქროს უფროსი ოსტატი ნ. კუკუხიძე თავის წერილში „მოგვაწოდეთ მაღალხარისხოვანი სხმული" აღნიშნავდა, რომ დასამუშავებლად მიღებული 100 ცალი ბლოკის სათავიდან მხოლოდ 18 გამოდგა ვარგისი. გაამახვილა რა ამ საკითხზე ყურადღება, გაზეთმა სწორად მიუთითა, რომ მხოლოდ ტექნოლოგიური რეჟიმის განმტკიცების გზით, ტექნოლოგიისათვის ბრძოლაში ოსტატის როლის ამაღლებით შეიძლება მკვეთრად შევამციროთ წუნი და მივაღწიოთ მის ლიკვიდაციას.

გაზეთი „ლენინელი" არ უნდა დაკმაყოფილდეს მუშაობაში მიღწეული პირველი წარმატებებით, საჭიროა იგი ღრმად ჩასწვდეს ავტომობილმშენებელთა შემოქმედებითი მუშაობის ყველა საკითხს, დაეხმაროს ქარხნის კოლექტივს მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ამ ახალგაზრდა გაზეთს სისტემატური დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს საქარხნო პარტიულმა ორგანიზაციამ.

## საქარხნო რადიოგაზეთი

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში ამას წინათ ჩამოყალიბდა საქარხნო რადიოგაზეთი, რომლის სარედაქციო კოლეგია 12 ამხანაგს აერთიანებს. რედაქცია მუშაობს პარტბიუროს მიერ წინასწარ დამტკიცებული გეგმით.

საქარხნო რადიოგაზეთი ფართოდ ასახავს საწარმოს კოლექტივის ყოველდღიურ ცხოვრებას. რედაქცია სისტემატურად აწყობს თემატურ გადაცემებს, ეწევა მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, ამხილებს ნაკლოვანებებს. მიკროფონთან ხშირად გამოდიან ქარხნის მოწინავე ადამიანები — ნოვატორი მუშები, საამქროებისა და უბნის უფროსები, ინჟინერ-ტექნიკოსები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

# კომუნისტები — ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის ორგანიზატორები

ჩაის კულტურას ზუგდიდის რაიონის ეკონომიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამჟამად რაიონში გაშენებულია 6.804 ჰექტარი ჩაის პლანტაციები. გასულ წელს მარტო კოლმეურნეობებში 380 ჰექტარი ახალი პლანტაცია გაშენდა, უახლოეს 2-3 წელიწადში კი 1.000 ჰექტარზე მეტი გაშენდება. პლანტაციების გაფართოებასთან ერთად განუხრელად იზრდება მათი მოსავლიანობა. 1954 წელს ჩაის ფოთლის საერთო მოსავალმა 13 ათას ტონას გადააჭარბა, საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 2.800 კილოგრამი. წელს სახელმწიფოს უნდა ჩავაბაროთ 13.565 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

ჩაის პლანტაციების გადიდებასთან და ხარისხოვანი ფოთლის მოსავლიანობის ამაღლებასთან ერთად გაიზარდა კოლმეურნეობათა შემოსავლიანობა.

პარტიის რაიკომმა მთავარ ამოცანად დაისახა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის მეთოდების გაუმჯობესება. მთელ ძალებს ვრაზმავთ იმისათვის, რომ მივაღწიოთ უფრო მეტ შედეგებს არა მარტო ცალკეულ კოლმეურნეობებში, არამედ რაიონის ყველა კოლმეურნეობაში. ჩვენი მიზანია ჩამორჩენილი კოლმეურნეობები ავიყვანოთ მოწინავეთა დონემდე. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩაის პლანტაციებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად გატარებას, მოწინავეთა გამოცდილების ყოველმხრივ გავრცელებას.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს სოფლად პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა. სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა და კერძოდ, ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის ბრძოლაში პარტიის რაიონული კომიტეტის დასაყრდენს წარმოადგენენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები. მათი უმრავლესობა უნარიანად ახორციელებს წესდებით მინიჭებულ პარტიული კონტროლის უფლებას, ეწევა ფართო მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას კოლმეურნეთა აღსაზრდელად, სათავეში უდგას ჩაის ფოთლის უხვი მოსავლისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას.

საკოლმეურნეო მინდვრებზე ენერგიულად მუშაობს 1.200 კომუნისტი. პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს პოლიტიკური აგიტაციისადმი ხელმძღვანელობა. ახლა ისინი უფრო უნარიანად აკავშირებენ პოლიტიკურ აგიტაციას კოლმეურნეობების წინაშე მდგომ ამოცანებთან. ამჟამად ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებში შექმნილია 34 აგიტკოლექტივი, რომლებიც 1.000-ზე მეტ აგიტატორსა და წამკითხველ-მესაუბრეს აერთიანებს. აგიტატორთა უმრავლესობა მართალი, ცოცხალი, შინაარსიანი სიტყვით დამაჯერებლად განუმარტავს მშრომელებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, რაიონის ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული მაგალითებით ცხადყოფს პარტიისა და მთავრობის განუხრელ ზრუნვას მშრომელთა კეთილდღეობისათვის. ამის შედეგად კოლმეურნეობებში განმტკიცდა შრომის დისციპლინა და იმატა შრომის ნაყოფიერებამ. მაგალითად, ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ჩაის მწვანე ფოთლის მაის-ივნისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. პარტბიუროს მდივანი ი. ჯოჯუა ხელმძღვანელობს ერთ-ერთ ბრიგადას, რომელიც სამაგალითოა.

კარგად მუშაობენ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია და კომუნისტი ბრიგადირები სოფელ ოდიშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში. შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად აღნიშნულმა კოლმეურნეობამ მაისის გეგმა 105 პროცენტით შეასრულა, ასევე წარმატებით შესრულდა ივნისის გეგმა.

ნაკლოვანებებს შემჩნევისთანავე ვასწორებთ. რუხის კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადა (ბრიგადირი კომუნისტი ჯანაშია) მაისში ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებაში ჩამორჩა. პარტიულმა ორგანიზაციამ შეისწავლა საკოლმეურნეო წარმოებაში ბრიგადის წევრთა მონაწილეობის საკითხი. თვითეულ კომუნისტს მიეცა კონკრეტული დავალება, დაწესდა მტკიცე კონტროლი სამუშაო დღის სრული დატვირთვით გამოყენებისადმი. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ბრიგადამ ივნისში მუშაობა საგრძნობლად გამოასწორა, გეგმა შეასრულა.

ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩამორჩა მეოთხე ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი გ. ახალაია ხელმძღვანელობს. ეს საკითხი პარტიული ორგანიზაციის მსჯელობის საგანი გახდა. დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი, რის შედეგად ბრიგადამ ივნისის გეგმა გაანაღდა.

ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა რაიონმა მხოლოდ 89 პროცენტით შეასრულა. არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებთან ერთად ჩამორჩენა იმითაც იყო გამოწვეული, რომ მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა შეანელეს ყურადღება შემოსული ფოთლის კრეფისადმი. რაიონული კომიტეტის ბიურომ განიხილა მაისში ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის შედეგები, აღნიშნა ჭკადუაშის სტალინის სახელობის, ცაიშის მალენკოვის და მე-18 პარტყრილობის სახელობის, ახალკახათის კოლმეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა და დასახა ქმედითი ღონისძიებანი მუშაობის გასაუმჯობესებლად. რაიკომის ბიუროს დადგენილება განხილულ იქნა ყველა საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, რის შემდეგ ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა.

რაიონის კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ მოკრიფონ და წელს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს 1.000 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

უმაღლესი ხარისხის ჩაის მიღების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს დამამზადებელ პუნქტებზე ჩაის ფოთლის მიღებას, შენახვას და ფაბრიკებში გადაზიდვის სწორ ორგანიზაციას, მის გადამუშავებას. რაიონის ჩაის ფაბრიკები ცუდად როდი მოემზადნენ წელს ჩაის მზა პროდუქციის გამოსაშვებად. ამის შედეგად ზაიხაოს ჩაის გამოშვების გეგმა შესრულებულია 113 პროცენტით. სამწუხაროდ, არის ხშირი შემთხვევა, როცა ფაბრიკებს ფოთოლი დაგვიანებით გადააქვთ (ზუგდიდის პირველ ფაბრიკას ოირემეს პუნქტიდან, კახათის ფაბრიკას — ჩხორიის პუნქტიდან). ზოგჯერ ჩაის ნედლეულის გადამუშავებისას ტექნოლოგიურ პროცესს არღვევენ, ფაბრიკის მუშაკები კი თავიანთ ცუდ მუშაობას ნედლეულს აბრალებენ.

ჩვენ კარგად გვახსოვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მითითება იმის შესახებ, რომ „არ შეიძლება შევანელოთ ყურადღება ჩაის მოყვანისადმი... უკანასკნელი წლების მანძილზე გამოყვანილია საბჭოთა კავშირის ჩაის კარგი ჯიშები. მაგრამ საბჭოთა კავშირის ჩაის წარმოების მიღწეული დონე ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას მასობრივი მოხმარების ამ პროდუქტზე... სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის ხარისხის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ჩაის ფოთლის გადამუშავების გაუმჯობესების გზით".

ამ მითითებათა შესასრულებლად რაიონის პარტიული ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ჩაის მრეწველობის მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ რაიონი მოწინავეთა რიგებში ჩადგეს, როგორც ჩაის მოყვანის, ისე ხარისხიანი პროდუქციის გამოშვების საქმეში.

**მ. ლვინჯილია,**
საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანი.

# ვაშენოთ სწრაფად და მაღალხარისხოვნად

შეუნელებლად ფართოვდება ბათუმში ახალმშენებლობათა მასშტაბი. თუ 1953-1954 წელს ბათუმის საბინაო ფონდს შეემატა 3.000-მდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, წელს შეემატება 21 საცხოვრებელი სახლი 18.000 კვადრატული მეტრი ფართობით.

ზოგი მშენებლობა ბათუმში დაუშვებლად ჭიანურდება. ეს, ცხადია, აძვირებს მშენებლობას და გავლენას ახდენს ნაგებობათა ხარისხზე. მაგალითად, ბათუმის საქალაქო საბჭოს კომუნალური განყოფილების, მანქანათმშენებელი ქარხნისა და ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა 1953 წლიდან წარმოებს. ამ მშენებლობათა დამთავრება დიდი ხნის წინათ შეიძლებოდა, მაგრამ ეს არ მოხდა იმიტომ, რომ ხან საშენი მასალა ვერ მოიმარაგეს, ხან სხვა მიზეზმა შეუშალათ ხელი და საქმე გაჭიანურდა.

საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო სისტემატურად ადევნებს თვალყურს ბათუმში მისი ხაზით წარმოებულ მშენებლობას, მაგრამ ეს როდი კმარა. ამასთან საჭიროა მშენებელთათვის ხელშეწყობა, მშენებლობის საქმის მოწყობა ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას დაწყებული ობიექტების დროულად დამთავრება. კონსერვის, მომთუთიებელი ქარხნის, მანქანათმშენებელი ქარხნის, საზღვაო ნავსადგურის, საზღვაო სასწავლებლის და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დამთავრებას ასობით მშრომელის ოჯახი ელის, მაგრამ მშენებლობის ტემპი დაბალია.

მშენებლობათა გაჭიანურება გამოწვეულია იმითაც, რომ სამშენებლო სამუშაოებზე მექანიზაციის გამოყენება არ ხდება ისე, როგორც სასურველია. ხშირად ბეტონის აზელასაც კი მშენებლები ხელით აწარმოებენ. საშენი მასალების ტრანსპორტირება ობიექტებზე ხელით ხდება. ხელით, უმექანიზმებოდ ასრულებენ საბათქაშო სამუშაოებს. სამშენებლო სამუშაოთა შესრულების ხარისხსაც ხშირად არ ექცევა სათანადო ყურადღება.

გარდა საბინაო მშენებლობისა, ბათუმში ფართოდ არის გაჩაღებული სასკოლო და სამრეწველო მშენებლობა. ამ სამუშაოთა შესრულება მინდობილი აქვს საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მეხუთე საერთო სამშენებლო ტრესტს, რომელიც, უნდა ითქვას, კარგად არის აღჭურვილი უახლესი სამშენებლო მექანიზმებით, ტრანსპორტით და უზრუნველყოფილია კვალიფიციური კადრებით. მიუხედავად ყველა საშუალებისა, ეს ტრესტი მაინც ვერ მუშაობს ისე, როგორც საჭიროა, განსაკუთრებით ახალი სასკოლო შენობისა და ახალი საქალაქო წყალსადენის სხვადასხვა ნაგებობათა მშენებლობაზე.

მოუწესრიგებელია ბათუმის ახალმშენებლობათათვის საშენი მასალების მიწოდების საქმე. აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის საშენ მასალათა საწარმოები ვერ იძლევიან იმდენ მასალებს, რომ მშენებლობათა მოთხოვნილება დააკმაყოფილონ, ხოლო რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან შემოზიდული აგური და კრამიტი მაღალი ხარისხის არ არის. მაგალითად, ნოსირიდან, ლანჩხუთიდან და სამტრედიიდან შემოტანილი აგური, როგორი სიფრთხილითაც არ უნდა მოვახდინოთ მისი ტრანსპორტირება, 30-40 პროცენტი იმსხვრევა. ასევე უნდა ითქვას ცხაკაიას კირის ქარხნის პროდუქციაზე. აქედან მიღებული კირის დიდი ნაწილი გამოუწვავია და მშენებლებს მისი გადაყრა უხდებათ.

ბათუმელი მშენებლები მოითხოვენ მაღალხარისხოვან საშენ მასალებს. ამას ანგარიში უნდა გაუწიონ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში და იმ ქარხნებში, საიდანაც საშენ მასალებს გვიგზავნიან.

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში ინერტული მასალის მოპოვების საუკეთესო პირობებია, რომ აქაურ ქვიშახრეშს ბადალი არ მოეპოვება, ამ მასალის მეურნეობა ქალაქის ახალმშენებლობათათვის მოუწესრიგებელია და მშენებელ ორგანიზაციებს მათი შედარებით შორი მანძილიდან მოზიდვა უხდებათ, რაც აძვირებს მშენებლობას. ეს საქმე უწინარეს ყოვლისა, ბათუმის საქალაქო საბჭოს შეეხება და მას მართებს მოკლე დროში მოაწესრიგოს ბათუმის ახალმშენებლობათათვის საკარიერო მეურნეობის მოწყობის საკითხი.

ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დიდი მუშაობის გაწევა მოუხდება იმისათვისაც, რომ უზრუნველყოს არსებული საბინაო ფონდის შენარჩუნება. იმის გამო, რომ დაგვიანდა ზოგი საცხოვრებელი სახლის შეკეთება, ხოლო ამ შეკეთებას ცუდად, დაუკვირვებლად, ტექნიკური პირობების დაუცველად ახდენდნენ, ახლა ეს სახლები ხელახლა შესაკეთებელია.

ამ მხრივ საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უკვე გადადგა ზოგიერთი ნაბიჯი. მთავარ ამოცანად დავისახეთ სარემონტო კანტორების მუშაობის გარდაქმნა ისე, რომ უწინარეს ყოვლისა უზრუნველვყოთ იმ სახლების შეკეთება, რომლებიც ამას უფრო საჭიროებენ, მოვახდინოთ ძალთა და არსებულ საშუალებათა კონცენტრაცია რამდენიმე ობიექტზე და არ გავფანტოთ ეს ძალები მთელ ქალაქში და ყველა ობიექტზე, როგორც ეს წინათ ხდებოდა.

ამ წესით იმუშავეს წელს ბათუმის საბინაო ფონდის შეკეთებაზე სარემონტო კანტორებმა და შედეგიც გაცილებით უკეთესია. ამჟამად უკვე შეკეთებულია 29 საცხოვრებელი სახლი.

კვლავ დიდი სამუშაოებია შესასრულებელი. მშენებლებს და საბინაო ფონდის შემკეთებლებს ყველა შესაძლებელი დახმარება უნდა გაუწიონ ბათუმის საბჭოთა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

**გ. შენგელია,**
ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

## რესპუბლიკის კურორტებზე

### შოვი და უწერა

ცნობილი კურორტები შოვი და უწერა მამისონის უღელტეხილის სამხრეთით მდებარეობენ. ეს კურორტები გამოირჩევიან სამკურნალო მინერალური წყლების სიმდიდრით და ლამაზი, მომხიბლავი ბუნებით. აქ საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოდიან დამსვენებლები. შოვის მინერალური წყლები ეფექტიანი საშუალებაა ქრონიკული მალარიის, სისხლნაკლებობის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის, ბრონქიალური ჯირკვლების დაავადებათა, ნევრასტენიის და ტუბერკულოზის დახურული ფორმების სამკურნალოდ, ხოლო უწერის ბორჯომის ტიპის წყლები საუკეთესოა კუჭ-ნაწლავების დაავადებათა განსაკურნავად.

შოვსა და უწერაში გახსნილია სანატორიუმები და პანსიონატები, რომლებიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრებით.

საკურორტო სეზონისათვის შოვში მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა. მდინარე ჭანჭახზე ძველი, მცირეძალიანი გენერატორის ნაცვლად დაიდგა ახალი 200-კილოვატიანი გენერატორი, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს ელექტროდენით შოვს, ტურისტთა ბაზასა და სოფელ გლოლას. 5.600 კვადრატულ მეტრ ფართობზე დააგეს ასფალტი, უახლოეს ხანში დამთავრდება კიდევ 3.000 კვადრატული მეტრი ფართობის მოასფალტება.

გააფართოეს და კეთილმოწყობილი გახადეს პოლიკლინიკის კაბინეტები. გაიხსნა ჰიდროგეოლოგიური სადგური, რომელიც მინერალური წყლების დეტალურ შესწავლას აწარმოებს. ბოსტნეულითა და კარტოფილით კურორტის უზრუნველსაყოფად მოეწყო დამხმარე მეურნეობა.

არის ნაკლოვანებებიც. მაგალითად, ჯერ კიდევ კეთილმოუწყობელია მინერალური წყაროები. კურორტის ტერიტორიის ნაწილი ბუჩქებით არის დაფარული და მის გაკაფვას არავინ ფიქრობს. გვხვდება დაჭაობებული ადგილებიც. მათ ამოსაშრობად საჭიროა არხების გაყვანა.

დამსვენებელთა კულტურული მომსახურება ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე. კურორტის 100-ადგილიანი კლუბი ვერ აკმაყოფილებს დამსვენებელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. კურორტს არა აქვს სამკითხველო. უყურადღებოდ არის მიტოვებული სასპორტო მოედნები. სანატორიუმების საკანალიზაციო ქსელი კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს. საჭიროა უწერაში შეკეთდეს აბაზანები.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარმა სამმართველომ შოვისა და უწერის კეთილმოწყობასა და დამსვენებელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

**ა. ბეშიძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## მინერალური წყლები

საქართველოს მინერალური წყლები თავისი გემოთი და სამკურნალო თვისებებით განთქმულია მთელ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც.

წელს მოსახლეობა მიიღებს მილიონობით ბოთლს მინერალურ წყლებს. ნავარაუდევია წლის ბოლომდე ჩამოისხას 66 მილიონი ბოთლი „ბორჯომი“, სამ მილიონ ბოთლზე მეტი „ზვარე“, მილიონობით ბოთლი „ძაუ“, „საირმე“, „სკური“, „ნაბეღლავი“, „ლუგელა“, „უწერა“. აქედან მარტო თბილისის მოსახლეობისათვის ზაფხულის პერიოდში მიღებულ იქნება 3.708.000 ბოთლი „ბორჯომი“, ასეულ ათასობით ბოთლი სხვა მინერალური წყლები.

გარდა ამისა, რესპუბლიკაში შემოტანილი იქნება ასეულ ათასობით ბოთლი ჩრდილოეთ კავკასიის ძვირფასი მინერალური წყლები — „ნარზანი“, „ესენტუკი“.

საქართველოს მინერალური წყლები დიდი რაოდენობით იგზავნება სსრ კავშირის ყველა ქალაქსა და სამრეწველო ცენტრში, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

თანდათან მექანიზებული ხდება მინერალური წყლების ჩამოსხმა. საირმეში აიგო მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ახალი მექანიზებული ქარხანა, რომელიც ამ დღეებში გადაეცემა საექსპლოატაციოდ. იგი წელიწადში მილიონობით ბოთლ „საირმეს“ ჩამოასხამს. ახალი ქარხანა შენდება აგრეთვე ბორჯომში. ამ ქარხნის წარმადობა წელიწადში 60 მილიონი ბოთლი იქნება.

### „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

#### „ჩამორჩენილი საწარმოს პარტიული ორგანიზაცია“

„კომუნისტში“ ამ სათაურით გამოქვეყნებულ წერილში გაკრიტიკებული იყო ქუთაისის შუშის ტარის ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა.

წერილთან დაკავშირებით პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. რუხაძე გვატყობინებს: საქალაქო კომიტეტმა შეისწავლა. ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. მხილებული ნაკლოვანებანი დადასტურდა. საქალაქო კომიტეტის ბიურომ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის სუსტად დაყენებისათვის პარტბიუროს მდივნობიდან გაათავისუფლა ამხ. ლ. ლაღაძე და დასახა ღონისძიებანი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

#### „დამახინჯებანი ჩაის ფოთლის მიმღებ პუნქტებში“

„კომუნისტში“ ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც გაკრიტიკებული იყო მახარაძის რაიონში ჩაის ფოთლის მიმღები პუნქტების მუშაობა.

როგორც რედაქციას ატყობინებენ, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. გურიანთის ჩაის ფაბრიკის ტექნოლოგს გორდელაძეს, დამზადების აგრონომს თოიძეს და პარტიული ორგანიზაციის მდივანს გობრონიძეს ცუდი მუშაობისათვის რაიკომის ბიურომ მითითება მისცა. ნაღობილევის პირველი პუნქტის გამგე ვ. თავბერიძე სამუშაოდან მოიხსნა.

## მანქანები ცდება, ნათესები დაუმუშავებელია

მშვენიერი სანახავია სოფელ ნორიოს (აბაშის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ამხ. გ. ქოიავა) სიმინდის ნათესები. ახლა აქ გაჩაღებულია თოხნა. წინ მიდის ბრიგადა, რომელსაც ს. ჯღარკავა ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრებმა 46 ჰექტარი სიმინდის ნათესიდან პირველი თოხნა უკვე ჩაატარეს 35, ხოლო მეორე — 12 ჰექტარზე. ამ ბრიგადაში კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი სიმინდი, რომელსაც 9,5 ჰექტარი უკავია, სანიმუშოა.

სოფელ სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. შ. გახოკიძე) სიმინდის თესვის დამთავრებისთანავე შეადგინა ნათესების დამუშავების კალენდარული გეგმა. ამ გეგმის მიხედვით სიმინდის პირველი თოხნა დაამთავრეს, ახლა გაჩაღებულია მეორე თოხნა.

სამწუხაროდ, მოწინავე კოლმეურნეობების გვერდით არიან ჩამორჩენილებიც. ეს განსაკუთრებით ითქმის სოფელ სუჯუნის სტალინის სახელობის, პირველი მაისის ლენინის სახელობის, დაბა აბაშის მოლოტოვის სახელობის, მარნის სტალინის სახელობის, პირველი მაისის მალენკოვის სახელობის, ონტოფოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობების [illegible]ბებში დააგვიანეს სიმინდის პირველი თოხნა.

ნაკლოვანებები არის სიმინდის ნათესების კულტივაციის დარგშიც. წელს აბაშის მტს-მა გეგმით კულტივაცია უნდა ჩაატაროს 9.600 ჰექტარზე, მაგრამ ეს სამუშაო გააჭიანურეს. ამ გარემოებას ისიც უწყობს ხელს, რომ ზოგჯერ მტს-ის მიზეზით კულტივატორები ცდება. მაგალითად, 13 ივნისს კულტივატორი მთელი დღის განმავლობაში უმოქმედოდ იდგა სოფელ პირველი მაისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კანტორის წინ. ასეთი მაგალითი იყო აგრეთვე სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. როგორც გამოირკვა, ტრაქტორისტები ა. ჯაფარიძე და შ. ქუნთელია ტრაქტორების დაზიანებული ნაწილების „საძებნელად“ წასულიყვნენ აბაშაში.

ნათესების თავის დროზე და მაღალხარისხოვნად დამუშავება მნიშვნელოვანი პირობაა სიმინდის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. საჭიროა ყველა შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

**ვ. კოპალეიშვილი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## ყაზბეგელ მეცხოველეთა ვალდებულება

ყაზბეგი. (საკ. კორ.). მოწინავე კოლმეურნეობები წარმატებით ანაღდებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს, ზრდიან პირუტყვის სულადობას, აფართოებენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმა რაიონში შესრულებულია 112,7 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 118,1 პროცენტით. დიდად გაიზარდა ძროხების წველადობა. მოწველილია 130 ათასი ლიტრით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. შარშან რაიონის კოლმეურნეობებმა საზამთრო საძოვრებზე საკმარისი რაოდენობით დაამზადეს საკვები, ააგეს 30 ათასი სული ცხვრის ტევადობის ბინები და მწყემსთა საცხოვრებელი 11 სახლი.

გასულ წელსვე რაიონის ფერმებში მოეწყო დედაცხვრის მთელი სულადობის ხელოვნური დანერგვა ნაზმატყლიანი მწარმოებლებით. მიღებული ბატკნები, რომელთა რიცხვი 16 ათასზე მეტს აღწევს, ნახევრადნაზმატყლიანია. წარმატებით ჩატარდა დოლი და ცხვრის პარსვა, თვითეული ცხვრის ნაპარსი 1,6 კილოგრამს შეადგენს.

ყაზბეგელები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. ისინი ცდილობენ სრულად გამოიყენონ ყველა რეზერვი და საშუალება მეცხოველეობის აღმავლობის საქმეში პარტიის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ამას წინათ ყაზბეგში შეიკრიბნენ რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ფერმების გამგეები, ზოოვეტსპეციალისტები, საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების მდივნები, მოწინავე მწყემსები და მწველავები.

თათბირმა განიხილა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ფ. გოგიშვილის მოხსენება — „პირუტყვის გამოზამთრების შედეგები და რაიონის კოლმეურნეობათა ამოცანები 1955 წელს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში“.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ახალციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. აქიაშვილმა, გორისციხის კოლმეურნეობის ფერმის ბრიგადირმა ვ. ავსაჯანიშვილმა, სნოს კოლმეურნეობის ფერმის ძროხების მწველავმა ნ. გელაშვილმა, მეძროხეობის ფერმის გამგემ დ. არაბულმა, ზოოტექნიკოსმა ნ. სიჭინავამ, მოწინავე მწყემსმა გ. წამალაიძემ და სხვებმა.

რაიონის კოლმეურნეობათა სახელით თათბირის მონაწილეებმა ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის იყოლიონ გაცილებით მეტი ძროხა, ცხვარი და თხა, ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 800 ლიტრი რძე ნაცვლად 700 ლიტრისა, თვითეულ ცხვარზე სახელმწიფოს ჩააბარონ 3 კილოგრამი მატყლი ნაცვლად 2,4 კილოგრამისა, მეწველ ცხვარზე დაამზადონ 4 კილოგრამი ყველი, დროზე შეასრულონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმები და სხვ.

თათბირის მონაწილეებმა რაიონის ყველა მეცხოველეს მიმართეს მოწოდებით ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ამ ვალდებულებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

# ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზები სხვების ტერიტორიებზე

„საბჭოთა მთავრობის წინადადება შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე“, რომელიც მაისის შუა რიცხვებში გამოქვეყნდა, შეიცავს მითითებას, რომ საჭიროა მოისპოს უცხოეთის სამხედრო ბაზები სხვის ტერიტორიაზე. ასეთი ბაზების არსებობა და მოწყობა არღვევს იმ ქვეყნების სუვერენიტეტს, რომელთა ტერიტორიაზე ისინი შექმნილია ან იქმნება, და იწვევს იმ სახელმწიფოების კანონიერ შეშფოთებას, რომელთა მახლობლად მდებარეობენ ეს ბაზები. მთელი რიგი სახელმწიფოების ტერიტორიაზე უცხოეთის სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზების არსებობა, რომელთაგან ბევრს იყენებენ გარკვეული სახელმწიფოების მიერ ატომური ომის მომზადებისათვის, კიდევ უფრო აძლიერებს უნდობლობას ქვეყნების ურთიერთობაში და საერთაშორისო დაძაბულობას.

სავსებით ნათელია დიდი მნიშვნელობა და აქტუალობა ახლანდელ პირობებში საბჭოთა გაფრთხილებისა იმის შესახებ, თუ რაოდენ საშიშია მშვიდობის საქმისათვის უცხოეთის სამხედრო ბაზების არსებობა სხვის ტერიტორიებზე. დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ ასეთი ბაზების მოწყობამ, რაც „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა, ისეთი დიდი მასშტაბი მიიღო, რომ აძლიერებს ახალი ომის საფრთხეს. სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების მოწყობას განსაკუთრებით ფართოდ მიმართავენ ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც ცდილობენ დაიმორჩილონ მთელი კაპიტალისტური სამყარო და გამოიყენონ მისი რესურსები საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომის მოსამზადებლად. ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე რეაქციული წრეების ეს მისწრაფება უშუალოდ დაკავშირებულია ამერიკის მონოპოლიების დიდი ხნის სურვილთან — დაამყარონ თავიანთი მსოფლიო ბატონობა.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრის მაშინდელი თანაშემწის ჰენსელის ნათქვამიდან ჩანს, ჰქონდათ 484 სამხედრო ბაზა 39 ქვეყანაში. ომის შემდეგ ბაზების რაოდენობა მკვეთრად გადიდდა. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, 1955 წლის თებერვლისათვის ამერიკის ბაზების რიცხვი სხვის ტერიტორიებზე გადიდდა 950-მდე, ხოლო ეს ბაზები განლაგებულია 63 ქვეყანაში. ამერიკის სამხედრო ბაზები (სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო) ახლა, როგორც ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ აღნიშნავს, „არაკომუნისტური სამყაროს თითქმის ყველა ქვეყანაშია“.

შემთხვევითი როდია, რომ ამერიკული ჟურნალი ხაზგასმით აღნიშნავს სიტყვებს „არაკომუნისტური სამყაროს“ ქვეყნების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზები განლაგებულია ისე, რომ ამ ბაზებით გარშემორტყმული იყვნენ საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, ე. ი. ის სახელმწიფოები, რომლებიც შეადგენენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკს. ასე განალაგებენ რა თავიანთ ბაზებს, ამერიკის სამხედრო წრეები და პრესის ზოგიერთი ორგანო არ მალავენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს გეგმები გამოიყენონ ბაზები. როგორც საწყისი პუნქტები ბომბდამშენი ავიაციისა, რომელიც მომარჯვებულია აგრესიული შეტევითი მოქმედებისათვის საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ამ მხრივ დამახასიათებელია ამერიკული ჟურნალის „ტაიმის“ მიერ გამოთქმული აზრები. ამას წინათ მან დაბეჭდა მსოფლიოს დიდი რუკა, რომელზეც შავი კვადრატებით აღნიშნულია ქვეყნები და რაიონები, სადაც განლაგებულია ამერიკის სამხედრო ბაზები, და ნაჩვენებია, თუ, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყების გეგმების თანახმად, რა მიმართულებით შეუძლიათ მოქმედება ამ ბაზებიდან ამერიკის თვითმფრინავებს. ირკვევა, რომ მათი მოქმედების რადიუსში შეტანილია მოსკოვი, პეკინი, ვარშავა, პრაღა, ბუქარესტი, ბუდაპეშტი, სოფია, ლენინგრადი, შანხაი, პლზენი, პლოეშტი და დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების სხვა დიდი ქალაქები და სამრეწველო ცენტრები. „ამერიკის შეტევითი საავიაციო ბაზების ქსელი, — როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღიარებს, — გაშლილია არქტიკის ისლანდიიდან ირანამდე. ამ ბაზებიდან შეიძლება მოქმედება კომუნისტური ქვეყნების სასიცოცხლო ცენტრების წინააღმდეგ“.

აღვირახსნილი აგრესორების ეს ცინიკური განცხადება ცხადყოფს, ამხილებს მათი იმ მტკიცების სიცრუეს, თითქოს ამერიკის სამხედრო ბაზები განკუთვნილია „ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვისათვის“. არა, არა თავდაცვისათვის. არამედ დემოკრატიული ბანაკის წინააღმდეგ შეტევითი აგრესიული მოქმედებისათვის შექმნეს შეერთებულმა შტატებმა მთელ მსოფლიოში თავიანთი სამხედრო ბაზები. მათი მოწყობის დროს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყება უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელობს ახალი მსოფლიო ომის გეგმებით, რომელსაც იგი ამზადებს ამერიკის მონოპოლიების ყველგან გაბატონებისათვის.

ამავე დროს სხვის ტერიტორიებზე ამერიკის სამხედრო ბაზების მოწყობა უკვე დღეს ემსახურება შეერთებული შტატებისადმი მთელი რიგი უცხო სახელმწიფოების დამორჩილების მიზნებს. ამას ნათლად გვიჩვენებს დასავლეთ ევროპის მაგალითი.

ინგლისში, ოფიციალური მონაცემებით, ამერიკელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა რაოდენობა 1949 წლიდან 1954 წლის ივნისამდე 6 ათასიდან გადიდდა 45 ათასამდე. ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწეებიც კი აღიარებენ, რომ ამდენი უცხოელი სამხედრო მოსამსახურე მშვიდობიან დროს ინგლისის ტერიტორიაზე არასოდეს არ ყოფილა. ამერიკის კიდევ უფრო მეტი ჯარის ნაწილებია განლაგებული საფრანგეთში. ყველა მისი ძირითადი ნავსადგური გადაქცეულია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ბაზად, ხოლო მთელი რიგი მოხერხებული სტრატეგიული პუნქტები — ამერიკის აეროდრომებად. საფრანგეთის პროგრესული პრესა წერს, რომ საფრანგეთი ფაქტიურად ოკუპირებულია ამერიკელების მიერ. ამასვე აღნიშნავს ბევრი იტალიური გაზეთი, როცა ლაპარაკობს იტალიაში შექმნილ მდგომარეობაზე. იტალიის ნავსადგურებში აქვთ ბაზა ამერიკის შეერთებული შტატების მე-6 სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებს, ხოლო მთელ რიგ ქალაქებში და მათ ახლოს დაბანაკებული არიან ამერიკის ჯარის ნაწილები. ამ ბოლო დროს დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები გეგმავენ იტალიაში შეიყვანონ და მის ჩრდილოეთ ნაწილში დააბანაკონ ამერიკის ახალი ჯარები, რომლებიც გაყვანილ უნდა იქნან ავსტრიის ტერიტორიიდან. ამერიკის შეერთებული შტატების ჯარის ნაწილები და ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები განლაგებული არიან ესპანეთსა და ისლანდიაში, რომ აღარაფერი ვთქვათ გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაზე, რომელიც ფაქტიურად ოკუპირებულია შეერთებული შტატების მიერ და პარიზის შეთანხმებებით მიმდინარე საუკუნის ბოლომდე უნდა იყოს ასეთ მდგომარეობაში. ამერიკის პრესაში გამოქვეყნებული მონაცემებით, ამერიკის შეერთებული შტატების მარტო საავიაციო ბაზები დასავლეთ გერმანიაში არის 34, იტალიაში — 21, საფრანგეთში — 45.

1955 წლის თებერვალში ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ საზღვარგარეთ—ამერიკის ბაზებში და ჯარების განლაგების რაიონებში — იმყოფება 1.370 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამ სამხედროთა მნიშვნელოვანი ნაწილი განლაგებულია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რაც, ბუნებრივია, არ შეიძლება გავლენას არ ახდენდეს მათს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია მაგალითი პატარა ისლანდიისა, სადაც დაბანაკებულია, არასრული და მოძველებული მონაცემების მიხედვით, 5 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე (მაშინ როცა რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა 150 ათასს არ აღემატება). ამერიკის სამხედრო ხროვა შეუზღუდველ გავლენას ახდენს ისლანდიის ცხოვრების ყველა მხარეზე და ერევა მის საშინაო საქმეებში. მაგალითად, ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით ისლანდიაში შეცვალეს მთავრობა, რომელიც არ მოსწონდათ ამერიკის მმართველ წრეებს.

არანაკლებ მოურიდებლად იქცევა ამერიკის სამხედრო ხროვა სხვა კონტინენტების ქვეყნებში, სადაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შექმნეს ან ქმნიან თავიანთ სამხედრო ბაზებს. ამერიკელები ფაქტიურად განაგრძობენ იაპონიის ოკუპაციას, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები დაბანაკებული არიან 719 პუნქტში. ამერიკის სამხედრო ხროვა ბატონობს ჩინეთის კუნძულ ტაივანზე, სადაც თავი შეაფარეს ჩანკაიშელთა ბანდების ნაშთებმა, და სამხრეთ კორეაში. ნგო დინ დიემის მთავრობისათვის „დახმარების“ გაწევის საბაბით ამერიკის სამხედრო უწყება განამტკიცებს თავის მდგომარეობას სამხრეთ ვიეტნამში, ქმნის იქ ამერიკის შეერთებული შტატების ბაზებს და სდევნის იქიდან ფრანგებს. ახლო და შუა აღმოსავლეთში, აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის რაიონში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შექმნეს და კვლავ ქმნიან თავიანთ სამხედრო ბაზებს საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკაში, თურქეთში, ირანში, საუდის არაბეთში.

თავისთავად ცხადია, ყველა იმ ქვეყნის ხალხები, სადაც ამერიკის სამხედრო ბაზებია, გადაჭრით ილაშქრებენ ამის წინააღმდეგ. რამდენიმე ხნის წინათ გაზეთმა „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღიარა, რომ ამერიკის პოლიტიკამ დასავლეთ ევროპაში დედამიწის ამ ნაწილის ხალხებში გამოიწვია „სიძულვილი შეერთებული შტატებისადმი“. ასეთივე გრძნობებით არიან გამსჭვალული ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ ყველა სხვა ქვეყნის ხალხები, რომლებიც გახდნენ მსხვერპლი ამერიკის ექსპანსიისა, რასაც ნიღბავენ დეკლარაციებით „დახმარების“ შესახებ. მაგალითად, იაპონიაში 1954 წლის განმავლობაში, როგორც ამერიკული გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი“ იუწყება, იყო ასამდე მასობრივი სახალხო გამოსვლა ამერიკის სამხედრო ბაზებისა და ამერიკის სამხედრო ხროვის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის წინადადება სხვის ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის შესახებ შეესაბამება მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესებს, ყველა ხალხის ინტერესებს. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები და მათი თანამოაზრენი დასავლეთ ევროპაში აშკარად უწევენ წინააღმდეგობას არა მარტო იმას, რომ მიიღონ, არამედ იმასაც, რომ ნაყოფიერად განიხილონ საბჭოთა წინადადება შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე. მაგრამ ეს წინააღმდეგობა ამხილებს იმათ, ვინც მას ეწევა, როგორც ადამიანებს, რომლებისთვისაც უცხოა ხალხთა სასიცოცხლო ინტერესები.

**პ. გრინინი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვარშავაში ჩავიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

ვარშავა, 5 ივლისი. (საკდესი). დღეს ვარშავაში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ო. გროტევოლის მეთაურობით. მთავარ ვაგზალში დელეგაციას შეხვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბერუტი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მთავრობისა და სახელმწიფო საბჭოს წევრები, პოლონეთის ჯარის გენერლები, ვარშავის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საელჩოების მეთაურები.

ვაგზლის მოედანზე, სადაც ჩამოსულთ გულთბილად მიესალმა რამდენიმე ათასი ვარშაველი, გაიმართა მიტინგი, რომლებზეც გამოვიდნენ ი. ცირანკევიჩი და ო. გროტევოლი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ზეიმში, რომელიც დაკავშირებულია პოლონეთ-გერმანიის სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის მეხუთე წლისთავთან.

## დაიხურა ხალხური მუსიკისა და ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი

ოსლო, 5 ივლისი. (საკდესი). გუშინ ოსლოში დამთავრდა ხალხური მუსიკისა და ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ევროპის 14 ქვეყნის წარმომადგენლებმა. ფესტივალის უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში მოეწყო მონაწილეთა ერთობლივი გამოსვლები „იურდალ-ამფის" სტადიონზე და პარკ — სახალხო მუზეუმის ტერიტორიაზე ოსლოში. გაზეთ „აფტენპოსტენის" გამოანგარიშებით, მარტო ამ სამი დღის განმავლობაში ხალხური მუსიკისა და ცეკვის კონცერტებს დაესწრო ოსლოსა და გარეუბნების 33 ათასზე მეტი მცხოვრები. ყველაზე მეტი წარმატება, ისევე როგორც ფესტივალის დაწყებისას, ჰქონდა საბჭოთა წარმომადგენლების — პიატნიცკის სახელობის გუნდის მოცეკვავეთა ჯგუფის, დების ფედოროვების კვინტეტის, ბანდურისტთა და ციმბალისტთა ტრიოს გამოსვლებს.

ყველა გაზეთი მეტად მაღალ შეფასებას აძლევს ფესტივალის საბჭოთა მონაწილეების ოსტატობას. წარმატებით გამოვიდნენ აგრეთვე იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, ნორვეგიისა და ინგლისის ხალხური ცეკვისა და მუსიკის ჯგუფები.

გუშინ საღამოს ქალაქის ერთ-ერთ უდიდეს დარბაზში — მუშათა პარტიის კლუბში ფესტივალი ოფიციალურად დაიხურა, გამოსულნი აღნიშნავდნენ ფესტივალის წარმატებას, მის მნიშვნელობას ეროვნული კულტურის შემდგომი განვითარებისა და ხალხთა ურთიერთგაგების გაუმჯობესებისათვის. ფესტივალის საბჭოთა მონაწილეებმა პროგრამის დამატებით გამართეს კონცერტები ქალაქებში ლილეჰამერში, ჰამარსა და დრამენში.

## ამერიკის სამხედრო ფლოტის მანევრები ტაივანის სრუტეში

პეკინი, 5 ივლისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იმოწმებს ფრანს პრესის სააგენტოს ცნობას და გადმოგვცემს, რომ ტაივანის სრუტეში გაიმართა ამერიკის მე-7 ფლოტის მანევრები, რაც, ფრანს პრესის ცნობით, თითქოს მოეწყო „საომარი მოქმედების პირობებთან მიახლოებულ ვითარებაში".

## გამოხმაურება საფრანგეთში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვაზე

პარიზი, 5 ივლისი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, საფრანგეთის ეროვნული კრების ბიურო დადებითად მოეკიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამა წლის 10 თებერვლის წინადადებას სხვადასხვა ქვეყნის საპარლამენტო დელეგაციების გაცვლის შესახებ. ბიურომ აზრი გამოთქვა, რომ საფრანგეთის პარლამენტის დელეგაცია გაიგზავნოს სსრ კავშირში.

ამ გადაწყვეტილებამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია საფრანგეთის პარლამენტის წრეებში. ჟურნალმა „საფრანგეთი-სსრ კავშირი" გამოაქვეყნა საფრანგეთის პარლამენტის მთელი რიგი თვალსაჩინო მოღვაწეების განცხადებანი ამ საკითხზე.

ეროვნული კრების დეპუტატმა პიერ ლებონმა („სოციალური რესპუბლიკელი") კმაყოფილება გამოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვის გამო, რადგან, მისი აზრით, „ვერ იმსჯელებ იმაზე, რასაც საკუთარი თვალით ვერ ხედავ", და „ამაოა იმის იმედი, რომ მიაღწიო შეთანხმებას, თუ თავიდანვე არ ეცადე მიაღწიო ურთიერთგაგებას".

დეპუტატმა ირენ დე ლიპკოვსკაიამ, რომელიც არც ერთ პარტიას არ ეკუთვნის, განაცხადა: „მე სავსებით ვიწონებ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის პარლამენტის მოღვაწეთა ურთიერთობის გაფართოებას. ჩემმა გამგზავრებამ სსრ კავშირში დამარწმუნა, რომ საჭიროა ეს ურთიერთობა, რაც ესოდენ სასარგებლოა ხალხთა დაახლოებისათვის და ჩვენს დიდ საბჭოთა მოკავშირესთან მშვიდობისა და მეგობრობის შენარჩუნებისათვის".

დეპუტატმა ანდრე დენიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მშვიდობის ინტერესები უკლებლივ ყველა ქვეყნის პარლამენტის მოღვაწეთაგან მოითხოვენ ხშირ შეხვედრას და უკეთ ურთიერთგაცნობას და ურთიერთგაგებას".

დეპუტატმა ლუი ვალონმა განაცხადა: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 10 თებერვლის მიმართვამ ჩემზე, ისე როგორც ბევრ სხვა ფრანგზე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მე ვფიქრობ, რომ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის სასარგებლო იქნებოდა ფრანგი და საბჭოთა მოქალაქეების უფრო ხშირი შეხვედრა და კერძოდ, საპარლამენტო დელეგაციების გაცვლა".

სოციალისტ დეპუტატს ჟან ბუეის აგრეთვე საჭიროდ მიაჩნია საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის საპარლამენტო დელეგაციების გაცვლა, რადგან, მისი აზრით, „საჭიროა ვეძიოთ ყოველგვარი საშუალება დედამიწის სხვადასხვა ხალხთა შორის შეთანხმებისა და ურთიერთგაგებისათვის".

საპარლამენტო დელეგაციების გაცვლას მიემხრო აგრეთვე რესპუბლიკის საბჭოს ეროვნული თავდაცვის კომისიის თავმჯდომარე ვენსან როტინა, რომელმაც თქვა:

„მე ვფიქრობ, რომ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის პარლამენტის მოღვაწეთა პირდაპირ კონტაქტს შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს ორივე ქვეყნის დაახლოებას და ამით მშვიდობის საქმეს".

ანალოგიური აზრები გამოთქვეს დეპუტატებმა ჟან ნოშემ, მენიემ, ემანუელ დ'ასტიე დე ლა ვიჟერიმ და ანდრე მერსიემ.

## საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 5 ივლისი. (საკდესი). დღეს საფრანგეთის ეროვნული კრება შეუდგა ალჟირში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ინტერპელაციების განხილვას. კამათში მონაწილეობისათვის ჩაეწერა 25 დეპუტატი.

სხდომის დაწყებისას სიტყვა მიეცა ალჟირის დეპუტატს ჟაკ შევალიეს („დამოუკიდებელი რესპუბლიკელი"), რომელმაც შეიტანა წინადადება „რამდენიმე დღით" გადაედოს კამათი, და ის დაიმოწმა, რომ ალჟირში ინფორმაციის მიზნით გაიგზავნა ეროვნული კრების შინაგან საქმეთა კომისიის დელეგაცია. მან განაცხადა, საჭიროა დაველოდოთ ამ დელეგაციის გამგზავრების შედეგებს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ბურჟეს-მონურიმ, რომელიც სხდომას დაესწრო, განაცხადა, რომ მთავრობა არ ეწინააღმდეგება კამათის გადადებას.

დეპუტატებმა პეტერნომ („დამოუკიდებელი რესპუბლიკელი" ალჟირიდან) და სოციალისტმა ბენბაჰმედმა გაილაშქრეს კამათის გადადების წინააღმდეგ და განაცხადეს, რომ ალჟირის ახლანდელი მდგომარეობა მოითხოვს საკითხის დაუყოვნებლივ განხილვას.

ამის შემდეგ გამოცხადდა ცოტა ხნის შესვენება, რომლის დროსაც პარლამენტის ზოგიერთი ჯგუფის ლიდერები შევალიეს წინადადების შესახებ ეთათბირნენ მთავრობის მეთაურ ფორს. მიუხედავად მთელი რიგი დეპუტატების — მათ შორის კომუნისტი დეპუტატის ჯიოვონის — პროტესტისა, რომლებიც ილაშქრებდნენ კამათის გადადების წინააღმდეგ და მოითხოვდნენ კოლონიებში რეპრესიების შეწყვეტას, თავმჯდომარემ კენჭი უყარა შევალიეს წინადადებას. კამათის გადადებას ხმა მისცა 356 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 236 დეპუტატმა.

დღეს პარლამენტის ჯგუფების თავმჯდომარეთა თათბირმა უნდა შეიმუშაოს ახალი დღის წესრიგი, რომელიც დასამტკიცებლად გადაეცემა ეროვნულ კრებას.

## სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მეორე სესია

პეკინი, 5 ივლისი. (საკდესი). დღეს პეკინში ხუაიჟენტანის დარბაზში გაიხსნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მეორე სესია.

პრეზიდიუმში არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ჯუ დე, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწენი.

სტუმრებს შორის იყო ვიეტნამის მთავრობის დელეგაცია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინის მეთაურობით.

სესიის დღის წესრიგშია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის განხილვა და დამტკიცება; ანგარიში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 1954 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ და 1955 წლის ბიუჯეტის დამტკიცება; მდინარე ხუანხეზე ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა გეგმის მიღება; სამხედრო ბეგრის კანონის მიღება და სხვა საკითხები.

დღევანდელ სხდომაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ლი ფუ-ჩუნმა.

## ანკარაში ჩავიდა ინგლისის საიმპერიო გენერალური შტაბის უფროსი

ლონდონი, 5 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, გუშინ ანკარაში ჩავიდა ინგლისის საიმპერიო გენერალური შტაბის უფროსი ფელდმარშალი ჯონ ჰარდინგი. იგი დაესწრება სახმელეთო სამხედრო-საჰაერო ძალების მანევრებს აღმოსავლეთ თურქეთში.

## სპორტის ამბები

### საერთაშორისო შეჯიბრება საცხენოსნო სპორტში

ბუქარესტი, 5 ივლისი. (საკდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ბუქარესტში დამთავრდა საცხენოსნო სპორტში ექვსი დღის საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის, შვეციის, უნგრეთისა და რუმინეთის გუნდებმა.

დახურულ მანეჟში ცხენის გახედნის შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა შვედმა სპორტსმენმა ბოლტენსტერნმა, რომელმაც 177 ქულა მოაგროვა, მეორე და მესამე ადგილებზე არიან რასპოპოვი (სსრ კავშირი) და ჰანს ტორელი (შვეცია).

დაბრკოლებათა სწრაფ გადალახვაში გაიმარჯვა უნგრელმა ცხენოსანმა ოხეფ ბარტონმა. რუმინელმა სპორტსმენმა ქალმა კინცესკუმ გამარჯვება მოიპოვა დაბრკოლებათა გადალახვაში. მთავარ შეჯიბრებაში „მეგობრობის თასზე" გაიმარჯვა შვეციის გუნდმა. შემდეგ მოდიან სსრ კავშირისა და რუმინეთის გუნდები. პირად შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა უნგრელმა სპორტსმენმა ალბერტ შატალამ.

გამარჯვებულთა შეხვედრებში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს წინა დღეებში პირველ ადგილებზე გამოსულმა ცხენოსნებმა, გაიმარჯვა რუმინელმა ცხენოსანმა მიხაი ტიმუმ. შემდეგ მოდიან ე. ლევინი (სსრ კავშირი), ვ. რასპოპოვი (სსრ კავშირი), ა. ფავორსკი (სსრ კავშირი) და ბ. ლილოვი (სსრ კავშირი).

### სსრ კავშირის მოჭადრაკეთა გამარჯვება

მოსკოვი, 6 ივლისი. დამთავრდა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო მატჩი. დღეს გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. ლ. ევანსისა და დ. ბრონშტეინის, აგრეთვე ი. კეჟდენისა და მ. ტაიმანოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დ. ბირნმა მოუგო ე. გელერს, პ. კერესმა — რ. ბირნს, ტ. პეტროსიანმა — მ. პავეის, ა. კოტოვმა — ა. კევიცს.

ამრიგად, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო მატჩი დამთავრდა სსრ კავშირის მოჭადრაკეთა გამარჯვებით ანგარიშით 25:7.

### საერთაშორისო შეჯიბრება ფეხბურთში

კიევი. 6 ივლისი. აქ გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში იუგოსლავიის „პარტიზანისა" და კიევის „დინამოს" გუნდებს შორის. მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0.

### სსრ კავშირის პირველობაზე

გუშინ ლენინგრადში საკავშირო პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკისა" და ლენინგრადის „ზენიტის" ფეხბურთელთა გუნდები. გამარჯვა „სპარტაკმა" 4:0.

### თბილისის დინამოელთა მატჩები

დაიწყო სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მეორე წრე ფეხბურთში. თბილისის დინამოელთა მომავალი მატჩების განრიგი ასეთია: 10 ივლისს — „დინამო" (თბილისი) — „კრილია სოვეტოვ" (კუიბიშევი), 27 ივლისს — „სპარტაკი" (მინსკი) — „დინამო" (თბილისი), 2 აგვისტოს — „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი), 7 აგვისტოს — „დინამო" (კიევი) — „დინამო" (თბილისი), 15 აგვისტოს — „დინამო" (თბილისი)—„შახტიორი" (სტალინო), 20 აგვისტოს — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი), 24 აგვისტოს — „შრომითი რეზერვები" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბილისი), 2 სექტემბერს — ცდსა (მოსკოვი)— „დინამო" (თბილისი), 9 სექტემბერს — „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი), 7 ოქტომბერს — „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი).

შეხვედრები გაიმართება პირველად დასახელებული გუნდის მოედანზე.

## ხელოვნების ქრონიკა

### ოპერისა და ბალეტის ახალგაზრდა მსახიობთა შემოქმედებითი საღამოები

თბილისის თეატრალური ახალგაზრდობის საქალაქო დათვალიერებამ ბევრი ნიჭიერი და მზარდი შემოქმედი გამოავლინა, რომელთა შორის არიან ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალგაზრდა მსახიობები ზურაბ ანჯაფარიძე და რევაზ მაღალაშვილი.

ზ. ანჯაფარიძემ საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია ჯერ კიდევ თბილისის კონსერვატორიაში სწავლის დროს, სადაც იგი მეცადინეობდა სსრ კავშირის სახალხო არტისტის დ. ანდღულაძის ხელმძღვანელობით. კონსერვატორიის დამთავრებისთანავე ზ. ანჯაფარიძე მიღებულ იქნა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, რომლის სცენაზეც გამოვიდა მეტად რთულ და პასუხსაგებ პარტიებში, როგორიც არის გურამი („ლატავრა"), ლიკოვი („მეფის საცოლე"), აბესალომი („აბესალომ და ეთერი"), მალხაზი („დაისი"), ბოგუნი („ბოგდან ხმელნიცკი"), ხოზე („კარმენი"), კოდალა („ჩხიკვთა ქორწილი") და სხვ.

საუცხოო ვოკალურ მონაცემებთან ერთად ახალგაზრდა მსახიობი კარგად არის დაუფლებული მსახიობის ოსტატობას.

ასეთივე წარმატება საბალეტო ხელოვნებაში აქვს მზარდ ახალგაზრდა მსახიობს რ. მაღალაშვილს. იგი საუცხოოდ ფლობს ბალეტის რთულ ტექნიკას და აქვს კარგი მსახიობური მონაცემები. მის რეპერტუარშია სხვადასხვა ხასიათის როლები — ჯარჯი („მთების გული"), მამია და სარდარი („გორდა"), დავრიში („სინათლე"), მასხარა („გედების ტბა"), მა ლი-ჩენი („წითელი ყაყაჩო"), მწვრთნელი კაპიტონი და პატარა ბიჭი ვანიჩკა („ექიმი აიბოლიტი"), ნურალი და ვაცლავი („ბახჩისარაის შადრევანი") და სხვ.

რ. მაღალაშვილმა 1951 წელს მონაწილეობა მიიღო ბერლინში გამართულ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მესამე მსოფლიო ფესტივალში.

ამ დღეებში ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ზ. ანჯაფარიძისა და რ. მაღალაშვილის შემოქმედებითი საღამოები, რომლებზეც ახალგაზრდა მსახიობებს წარმატება ხვდათ. პირველ საღამოზე დაიდგა ოპერა „კარმენი", რომელშიც ზ. ანჯაფარიძემ შეასრულა ხოზეს პარტია, ხოლო რ. მაღალაშვილი თავის შემოქმედებით საღამოზე გამოვიდა ჯარჯის როლში ბალეტ „მთების გულში".

### მსახიობთა შეხვედრა დეპოსთან

რუსთაველის სახელობის თეატრისა და თბილისის სართქლმავლო დეპოს კოლექტივებს შორის ათეული წლების ტრადიციული მეგობრობა არსებობს. უკანასკნელ ხანებში თეატრის კოლექტივი შეფობას უწევს დეპოს კოლექტივს.

ამ დღეებში რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივმა შეხვედრა მოუწყო დეპოს მოწინავე ადამიანებს.

შეხვედრა, რომელსაც დეპოს მრავალი მუშა-მოსამსახურე დაესწრო, შესავალი სიტყვით გახსნა თეატრის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პ. კანდელაკმა. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა თეატრის პარტბიუროს მდივანმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ა. აფხაიძემ. საპასუხო სიტყვებით გამოსულმა შ. ხიზანიშვილმა, ნ. გვენეტაძემ, გ. ბერიაშვილმა, ი. ხახვიაშვილმა და გ. გურგენაშვილმა დამსწრეთ უამბეს თავიანთი მუშაობის შესახებ. შეხვედრის შემდეგ გამართულ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს რუსთაველის თეატრის, ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობებმა და დეპოს მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების წევრებმა.

### ქართული კინოჟურნალი უკრაინულ ენაზე

თბილისის კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა" ამ დღეებში უკრაინის მშრომელებს გაუგზავნა კინოჟურნალ „საბჭოთა საქართველოს" ახალი, მე-18 ნომერი, რომელიც გახმოვანებულია უკრაინულ ენაზე.

ჟურნალში მოთხრობილია უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონისა და საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის კოლმეურნეთა მეგობრობაზე. ჟურნალის კადრები გვიჩვენებენ მახარაძის რაიონში გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეთა დელეგაციის ჩამოსვლას. დელეგაციამ ქართველ მეგობრებს საჩუქრად ჩამოუტანა დიდი ლენინის ქანდაკება, ხოლო გენიჩესკელებმა, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში, მახარაძის რაიონის კოლმეურნეებისაგან გარდამავალი დროშა მიიღეს.

ჟურნალის რეჟისორია შ. ხომერიკი, ოპერატორები გ. ასათიანი და ლ. არზუმანოვი.

გ. ძნელაძე.

## ხილი და ბოსტნეული ქალაქის მოსახლეობისათვის

თბილხილბოსტანვაჭრობამ თბილისის მოსახლეობისათვის თავის სავაჭრო ქსელში მაისსა და ივნისში ახლო რაიონების კოლმეურნეობებიდან შემოიტანა 595 ტონა სხვადასხვა ბოსტნეული. გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებიდან შემოტანილია 220 ტონა, ხოლო გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებიდან — 177 ტონა ბოსტნეული — მწვანე ხახვი, კომბოსტო და სხვ.

ივნისის შუა რიცხვებიდან თბილხილბოსტანვაჭრობამ მასობრივად დაიწყო ხილის შემოტანა. უკვე გაიყიდა 75 ტონაზე მეტი ბალი, გარგარი, ალუჩა.

თბილხილბოსტანვაჭრობა სექტემბრამდე გეგმით მიიღებს 2 ათას ტონა სხვადასხვა ბოსტნეულს, ხოლო გეგმის გადამეტებით ცეკავშირიდან და კონსერვტრესტიდან მოელიან 950 ტონა კურკოვან და თესლოვან ხილს — ბალს, ალუბალს, ალუჩას, გარგარს, საადრეო ვაშლსა და მსხალს. უახლოეს ხანში სომხეთიდან შემოიტანენ 100 ტონაზე მეტ გარგარს, მუხრანის საცდელი მეურნეობიდან და ნატახტარისა და ფუნიკულიორის მეურნეობებიდან შემოტანილ იქნება ათას ხუთას ტონამდე ხილი, კიტრი, პამიდორი, კომბოსტო და სხვ.

თბილხილბოსტანვაჭრობის საწარმოო კომბინატმა უკვე დაიწყო ბოსტნეულისა და ხილის გადამუშავება. აქ დამზადდება ათეულათასობით ქილა მურაბა, ხილფაფა, ჯემი, პასტერიზებული კიტრი, ტომატი-პიურე, ტომატისა და ტყემლის საწებელა.

## ახალი შემნახველი სალაროები

ყოველწლიურად ათასობით მშრომელი სარგებლობს შემნახველი სალაროებით ფულის მოსაგროვებლად, აკრედიტივების გასაფორმებლად, სახელმწიფო სესხების ობლიგაციებზე მოგებათა მისაღებად და სხვ.

მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით სისტემატურად ფართოვდება შემნახველი სალაროების ქსელი. უკანასკნელ ხანებში საქართველოში გაიხსნა 12 ახალი შემნახველი სალარო— თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, წყალტუბოს, გუდაუთის, ახალქალაქისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში. წლის ბოლომდე გაიხსნება კიდევ 10 შემნახველი სალარო.

## ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 8 და 9 ივლისს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ. ქარი 0-5 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 17-22, დღისით 24-29 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 13-18, დღისით 21-26 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, მთიან რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, უმეტესად დღის მეორე ნახევარში. ქარი 0-5 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 15-20, დღისით 25-30 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 11-16, დღისით 20-25 გრადუსი.

რედაქტორი ნ. ჯაში.


## საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

აცხადებს მიღებას 1955-56 სასწავლო წლისათვის სპეციალობების მიხედვით შემდეგ პედაგოგიურ ინსტიტუტებში:

I. ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (კიროვის ქუჩა № 55).

სპეციალობები: ქართული ენისა და ლიტერატურის; რუსული ენისა და ლიტერატურის; ისტორიის; ფიზიკა-მათემატიკის; ბუნებისმეტყველების; გეოგრაფიის.

II. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ჭავჭავაძის ქუჩა, № 35).

სპეციალობები: ქართული ენისა და ლიტერატურის; ფიზიკა-მათემატიკის; ბუნებისმეტყველების; გეოგრაფიის.

III. ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ნინოშვილის ქუჩა, № 35).

სპეციალობები: ქართული ენისა და ლიტერატურის; რუსული ენისა და ლიტერატურის; ფიზიკა-მათემატიკის; ისტორიის.

IV. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში (ფალიაშვილის ქუჩა, №57).

სპეციალობები: ინგლისური ენის (ქართული და რუსული სექტორი); გერმანული ენის (ქართული და რუსული სექტორი); ფრანგული ენის (ქართული სექტორი).

შენიშვნა: ინგლისურ და ფრანგულ სპეციალობებზე მიღება იწარმოებს აგრეთვე საღამოს განყოფილებაზე (ქართული სექტორი).

V. თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (გვირაბის ქუჩა, № 1).

სპეციალობები: ქართული ენისა და ლიტერატურის; ფიზიკა-მათემატიკის.

ინსტიტუტში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 35 წლამდე, რომლებსაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება და წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს.

შენიშვნა: სპეციალური საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულნი გამოცდებზე დაიშვებიან მათთვის სავალდებულო სამწლიანი საწარმოო სტაჟის გავლის შემდეგ. სტაჟი არ მოეთხოვებათ იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც მოხვდნენ გამოშვების 5%-ში და იმ პირებს, რომლებმაც დაამთავრეს სპეციალური საშუალო სასწავლებელი და იმყოფებოდნენ სამხედრო სამსახურში.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ოქროსმედალოსნები და სამამულო ომის მონაწილენი, რომლებსაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ წარჩინებით.

ვერცხლისმედალოსნები და ის პირები, რომლებსაც წარჩინებით აქვთ დამთავრებული პედაგოგიური სასწავლებელი, ითვლებიან გამოშვების 5%-ში, აბარებენ ერთ საგანს ფაკულტეტისა და სპეციალობის მიხედვით: ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — ქართულ ენასა და ლიტერატურას (წერა, ზეპირი); რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — რუსულ ენასა და ლიტერატურას (წერა, ზეპირი); უცხო ენების სპეციალობაზე — ერთ-ერთ უცხო ენას სპეციალობის მიხედვით; ისტორიის სპეციალობაზე — ქართულ ენასა და ლიტერატურას (წერა), მათემატიკის სპეციალობაზე — მათემატიკას (წერა, ზეპირი); გეოგრაფიის სპეციალობაზე — მათემატიკას (ზეპირი); ბუნებისმეტყველების სპეციალობაზე — ფიზიკას.

ამ პირთათვის გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 5 აგვისტომდე.

ყველა დანარჩენი აბარებს მისაღებ გამოცდას შემდეგ საგნებში:

I. ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), 2. რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), 3. სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, 4. გეოგრაფია, 5. ერთ-ერთი უცხო ენა (ინგლისური, ფრანგული ან გერმანული).

II. რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე:

1. რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), 2. სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, 3. გეოგრაფია, 4. ერთ-ერთი უცხო ენა.

III. ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობაზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 2. რუსული ენა (წერა), 3. მათემატიკა (წერა და ზეპირი), 4. ფიზიკა, 5. ქიმია.

IV. ბუნებისმეტყველების სპეციალობაზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 2. რუსული ენა (წერა), 3. ქიმია, 4. ფიზიკა.

V. გეოგრაფიის სპეციალობაზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 2. რუსული ენა (წერა), 3. სსრ კავშირის ისტორია, 4. გეოგრაფია, 5. მათემატიკა (ზეპირი).

VI. ისტორიის სპეციალობაზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 2. რუსული ენა (წერა), 3. სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, 4. გეოგრაფია.

VII. უცხო ენების (გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენების) სპეციალობაზე:

ა) ქართულ სექტორზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), 2. რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), 3. სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, 4. გეოგრაფია, 5. უცხო ენა (სპეციალობის მიხედვით).

ბ) რუსულ სექტორზე:

1. რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), 2. სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, 3. გეოგრაფია, 4. უცხო ენა (სპეციალობის მიხედვით).

შენიშვნა: ქართული ენისა და ლიტერატურის და რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე შემსვლელთაგან უცხო ენას არ აბარებენ ის პირნი, რომლებსაც უცხო ენა საშუალო სკოლაში არ უსწავლიათ და ამ საგნის ნიშანი შეტანილი არა აქვთ სიმწიფის ატესტატში.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

თანაბარი პირობების შემთხვევაში ჩარიცხვის დროს უპირატესობა მიეცემათ ორი წლის საწარმოო სტაჟის მქონე და საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულ პირებს.

განცხადებები შეტანილ უნდა იქნას პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით:

ა) ავტობიოგრაფია, ბ) სიმწიფის ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), გ) პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად), დ) სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ) 3X4 სმ. ზომისა, ე) სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად), ვ) ცნობა სამუშაო ადგილიდან მუშაობის სტაჟის, თანამდებობისა და სპეციალობის აღნიშვნით (მომუშავე პირთათვის), ზ) სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), შევსებული სკოლის, რაიონული საავადმყოფოს (პოლიკლინიკის) ან უბნის ექიმის მიერ, დ) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს სპეციალობა, განყოფილება და სექტორი, რომელზეც შემსვლელს სურს ინსტიტუტში ჩარიცხვა.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე, ხოლო სტუდენტად ჩარიცხვა იწარმოებს 21-დან 25 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობებისა და კონსულტაციების მიღება ინსტიტუტებში შესვლის შესახებ შეიძლება ინსტიტუტებში ყოველდღე 9-დან 4 საათამდე. მეცადინეობა ყველა ინსტიტუტში დაიწყება 1 სექტემბერს.



### საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქ. თბილისის ფარმაცევტული სასწავლებელი

აწარმოებს მიღებას 1955–1956 სასწავლო წლისათვის.

სასწავლებელი ამზადებს კვალიფიციურ პროვიზორის თანაშემწეებს. მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის და საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ორივე სქესის [illegible]

მისაღები გამოცდები საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის იწარმოებს 22 აგვისტოდან 28 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: 1. სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში (ზეპირი), 2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა კარნახით), 3. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი).

მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით, ხოლო საერთო საცხოვრებლით სასწავლებელი მოსწავლეებს ვერ უზრუნველყოფს.

სასწავლებლის კურსდამთავრებულებს ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის დირექციაში ყოველდღე (გარდა კვირა დღისა), საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბე, ქუთაისის ქუჩა № 20, ტელეფონი № 3-50-64.



### შეკვეთების ბიურო

თბილისის ცენტრალურ საქალაქო სადგურთან (ლენინის მოედანი № 7) 16 ივლისიდან აწარმოებს **რკინიგზის ბილეთების წინასწარ გაყიდვას და შინ მიტანას.**

ჯგუფური განაცხადები წარდგენილ უნდა იქნას 10 დღით ადრე, ინდივიდუალური მგზავრობისათვის კი შეკვეთები მიიღება მხოლოდ ტელეფონით (3-75-91, 3-36-22, 3-36-27, 3-63-81) და საფოსტო ღია ბარათებით 7 დღით ადრე.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახური.


თბილისის საბჭოს აღმასკომის საგზაო მშენებლობის სამმართველო იუწყება

**მარიამ ბესარიონის ასულ ლებანიძის**

გარდაცვალებას.

მეუღლე ნინო, შვილები შოთა, ვერა ოჯახით იუწყებიან

**პარმენ ნიკოლოზის-ძე ბაზაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-VII, 8 ს. გამოსვენება 10-VII, 4 ს. კალინინის ქ. № 56.

შვილები ნინო, ოლღა, დიმიტრი ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

**მარიამ გიორგის ასულ მძინარიშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 7-VII, 6 ს. ბარათაშვილის ქ. № 10.


რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოს — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84. მრეწველობის და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-21-48, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 03955

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.